

ESRS 1

ზოგადი მოთხოვნები

შინაარსი

მიზანი

1. **ESRS სტანდარტების კატეგორიები, საანგარიშგებო სფეროები და სარედაქციო შეთანხმებები**
 - 1.1 **ESRS სტანდარტების კატეგორიები**
 - 1.2 საანგარიშგებო სფეროები და პოლიტიკების, ქმედებების, სამიზნე მაჩვენებლების და მდგრადობის მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნები
 - 1.3 სარედაქციო შეთანხმებები
2. ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები
3. ორმაგი არსებითობა, როგორც მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების საფუძველი
 - 3.1 დაინტერესებული მხარეები და მათი როლი არსებითობის შეფასების პროცესში
 - 3.2 არსებითი საკითხები და ინფორმაციის არსებითობა
 - 3.3 ორმაგი არსებითობა
 - 3.4 ზემოქმედების არსებითობა
 - 3.5 ფინანსური არსებითობა
 - 3.6 მდგრადობის საკითხებზე რეაგირების მიზნით განხორციელებული ქმედებების შედეგად წარმოქმნილი არსებითი ზემოქმედება და რისკები
 - 3.7 დეზაგრეგირების დონე
4. კომპლექსური შემოწმება
5. ღირებულებათა ჯაჭვი
 - 5.1 ანგარიშვალდებული საწარმო და ღირებულებათა ჯაჭვი
 - 5.2 შეფასება სექტორის საშუალო მაჩვენებლებისა და სხვა მსგავსი მონაცემების გამოყენებით
6. დროის პერიოდები
 - 6.1 საანგარიშგებო პერიოდი
 - 6.2 წარსულის, აწმყოსა და მომავლის კავშირი
 - 6.3 პროგრესის წარდგენა საბაზისო წელთან მიმართებით
 - 6.4 მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერიოდების განმარტება საანგარიშგებო მიზნებისთვის
7. მდგრადობის ინფორმაციის მომზადება და წარდგენა
 - 7.1 შესაძარისი ინფორმაციის წარდგენა
 - 7.2 შეფასების წყაროები და შედეგების განუსაზღვრელობა
 - 7.3 საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მომხდარი მოვლენების შესახებ განმარტებითი შენიშვნების განახლება
 - 7.4 ცვლილებები მდგრადობის შესახებ ინფორმაციის მომზადებაში ან წარდგენაში
 - 7.5 წინა პერიოდების შეცდომების წარდგენა
 - 7.6 კონსოლიდირებული ანგარიშგება და განთავისუფლება შვილობილი საწარმოებისთვის
 - 7.7 საიდუმლო და სენსიტიური ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების, ნოუ-ჰაუს ან ინოვაციის შედეგების შესახებ
 - 7.8 შესაძლებლობების წარდგენა
8. მდგრადობის ანგარიშგების სტრუქტურა
 - 8.1 წარდგენის ზოგადი მოთხოვნები
 - 8.2 მდგრადობის ანგარიშგების შინაარსი და სტრუქტურა

9. კავშირი კორპორაციული ანგარიშგების სხვა ნაწილებთან და დაკავშირებული ინფორმაცია
 - 9.1 ინფორმაციის ჩართვა სხვა დოკუმენტებზე მითითებით
 - 9.2 დაკავშირებული ინფორმაცია და კავშირი ფინანსურ ანგარიშგებასთან
10. გარდამავალი დებულებები
 - 10.1 საწარმოსათვის სპეციფიკურ განმარტებით შენიშვნებთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებები
 - 10.2 მე-5 თავთან - „ღირებულებათა ჯაჭვი“ - დაკავშირებული გარდამავალი დებულებები
 - 10.3 7.1 განყოფილებასთან - „შესადარისი ინფორმაციის წარდგენა“ - დაკავშირებული გარდამავალი დებულებები
 - 10.4 გარდამავალი დებულება: *გარდამავალი ფაზის გამჟღავნების მოთხოვნების სია*

დანართი ა: გამოყენების მოთხოვნები

- საწარმოსთვის სპეციფიკური განმარტებითი შენიშვნები
- ორმაგი არსებითობა
- შეფასება სექტორის საშუალო მაჩვენებლებისა და სხვა მსგავსი მონაცემების გამოყენებით
- მდგრადობის ანგარიშგების შინაარსი და სტრუქტურა

დანართი ბ: ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები

დანართი გ: გარდამავალი ფაზის გამჟღავნების მოთხოვნების სია

დანართი დ: ESRS სტანდარტების შესაბამისი მდგრადობის ანგარიშგების სტრუქტურა

დანართი ე: გასამჟღავნებელი ინფორმაციის დასადგენი დიაგრამა

დანართი ვ: ESRS სტანდარტების შესაბამისად მომზადებული მდგრადობის ანგარიშგების სტრუქტურის მაგალითი

დანართი ზ: ინფორმაციის ჩართვა სხვა დოკუმენტებზე მითითებით - საილუსტრაციო მაგალითი

1. მდგრადობის ანგარიშების ევროპული სტანდარტების (ESRS) მიზანია, განსაზღვროს მდგრადობასთან დაკავშირებული ის ინფორმაცია, რომელიც საწარმომ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013/34/EU დირექტივის¹ (ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2022/2464 დირექტივის² საფუძველზე შესწორებული) შესაბამისად უნდა გაამჟღავნოს. ESRS სტანდარტების შესაბამისად ანგარიშების მომზადება საწარმოს არ ათავისუფლებს ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებებისგან.
2. კერძოდ, ESRS სტანდარტები განსაზღვრავს ინფორმაციას, რომელიც საწარმომ გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი არსებითი **ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების** შესახებ უნდა გაამჟღავნოს. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს შეფასებით საკითხი არსებითი არ არის, ESRS სტანდარტები საწარმოს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ESRS სტანდარტების შესაბამისად გამჟღავნებას (იხილეთ ამ სტანდარტის „ე“ დანართი - „*გასამჟღავნებელი ინფორმაციის დასადგენი დიაგრამა*“) არ ავალდებულებს. ESRS სტანდარტების შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია **მდგრადობის ანგარიშების მომხმარებელს** ნათელ წარმოდგენას უქმნის ადამიანებსა და გარემოზე საწარმოს არსებითი ზემოქმედების შესახებ, ასევე საშუალებას აძლევს მას, მიიღოს ინფორმაცია იმ არსებით შედეგებზე, რომელიც მდგრადობის საკითხებს აქვს საწარმოს განვითარებაზე, საქმიანობის შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.
3. წინამდებარე სტანდარტის (ESRS 1) მიზანია მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია ESRS სტანდარტების სტრუქტურის, გამოყენებული სარედაქციო შეთანხმებებისა და ძირითადი ცნებების შესახებ, ასევე იმ ზოგადი მოთხოვნების შესახებ, რომელიც 2013/34/EU დირექტივის ((EU) 2022/2464 დირექტივის საფუძველზე შესწორებული) შესაბამისად მდგრადობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მომზადებისა და წარდგენისთვის არის საჭირო.

1. ESRS სტანდარტების კატეგორიები, საანგარიშებო სფეროები და სარედაქციო შეთანხმებები

1.1 ESRS სტანდარტების კატეგორიები

4. ESRS სტანდარტები იყოფა 3 კატეგორიად:
 - ა) საერთო სტანდარტები;
 - ბ) თემატური სტანდარტები (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი სტანდარტები); და
 - გ) სექტორული სტანდარტები.

საერთო და თემატური სტანდარტები ვრცელდება ყველა საწარმოზე, იმის მიუხედავად, თუ რომელ სექტორ(ებ)ში ოპერირებს იგი.

¹ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის დირექტივა 2013/34/EU - Directive 2013/34/EU of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 on the annual financial statements, consolidated financial statements and related reports of certain types of undertakings, amending Directive 2006/43/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directives 78/660/EEC and 83/349/EEC (OJ L 182, 29.6.2013, p. 19).

² ევროპარლამენტისა და საბჭოს 2022 წლის 14 დეკემბრის დირექტივა (EU) 2022/2464 - Directive (EU) 2022/2464 of the European Parliament and of the Council of 14 December 2022 amending Regulation (EU) No 537/2014, Directive 2004/109/EC, Directive 2006/43/EC and Directive 2013/34/EU, as regards corporate sustainability reporting (OJ L 322, 16.12.2022, p. 15).

5. საერთო სტანდარტები - ESRS 1 „ზოგადი მოთხოვნები“ და ESRS 2 „ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები“ - ვრცელდება **მდგრადობის** ისეთ **საკითხებზე**, რომელსაც თემატური და სექტორული სტანდარტებიც მოიცავს.
6. წინამდებარე სტანდარტში აღწერილია ESRS სტანდარტების სტრუქტურა, ახსნილია სარედაქციო შეთანხმებები და ძირითადი კონცეფციები, ასევე დადგენილია მდგრადობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მომზადებისა და წარდგენის ზოგადი მოთხოვნები.
7. ESRS 2 ადგენს გამჟღავნების მოთხოვნებს იმ ინფორმაციისთვის, რომელიც საწარმომ ზოგადად უნდა წარმოადგინოს **მდგრადობის** ყველა იმ არსებით **საკითხთან** მიმართებაში, რომელიც ეხება საანგარიშგებო სფეროების მმართველობას, სტრატეგიას, **ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების** მართვას, ასევე **მდგრადობის მაჩვენებლებსა და სამიზნე მაჩვენებლებს**.
8. თემატური ESRS სტანდარტები ეხება მდგრადობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ თემებს. მასში გამოყოფილია თემები და ქვეთემები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ქვე-ქვეთემებიც. წინამდებარე სტანდარტში წარმოდგენილ მე-16 **გამოყენების მოთხოვნაში** (გმ 16) მოცემულია მდგრადობასთან დაკავშირებული იმ თემების, ქვეთემებისა და ქვე-ქვეთემების (ერთობლივად **“მდგრადობის საკითხები”**) ზოგადი მიმოხილვა, რომლებსაც თემატური ESRS სტანდარტები მოიცავს.
9. თემატური ESRS სტანდარტი შესაძლებელია მოიცავდეს ისეთ კონკრეტულ მოთხოვნებს, რომელიც ESRS 2-ით დადგენილ **გამჟღავნების საერთო მოთხოვნებს** ავსებს. ESRS 2-ის „გ“ დანართში - „**თემატური ESRS სტანდარტების გამჟღავნების/გამოყენების მოთხოვნები, რომელიც გამოიყენება ESRS 2-თან - ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები - ერთად**“ - ჩამოთვლილია თემატური ESRS სტანდარტების ისეთი დამატებითი მოთხოვნები, რომელიც საწარმომ ESRS 2-ში მოცემულ გამჟღავნების საერთო მოთხოვნებთან ერთად უნდა გამოიყენოს.
10. სექტორული სტანდარტები ვრცელდება მოცემული სექტორის ყველა საწარმოზე. ისინი ეხება იმ **ზემოქმედებას, რისკებსა და შესაძლებლობებს**, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითი იქნება კონკრეტული სექტორის ყველა საწარმოსთვის, რომლებსაც თემატური სტანდარტები არ ფარავს, ან არასაკმარისად ფარავს. სექტორული სტანდარტები მოიცავს ერთზე მეტ თემას და ეხება იმ თემებს, რომლებიც მოცემული სექტორისთვის ყველაზე შესაფერისია. სექტორული სტანდარტებით შესადარისობის მაღალი ხარისხი მიიღწევა.
11. ESRS სტანდარტების სამივე კატეგორიაში წარმოდგენილი **გამჟღავნების მოთხოვნების** გარდა, როდესაც საწარმო დაასკვნის, რომ ESRS სტანდარტი არ ფარავს, ან საკმარისი დეტალიზაციით არ ფარავს, ზემოქმედებას, რისკს ან შესაძლებლობას, მაგრამ კონკრეტული ფაქტებიდან და გარემოებებიდან გამომდინარე იგი არის არსებითი, მან უნდა გაამჟღავნოს საწარმოსთვის სპეციფიკური ინფორმაცია, რათა მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას საწარმოს მდგრადობასთან დაკავშირებული **ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების** შესახებ. საწარმოსთვის სპეციფიკური ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ დამატებითი მითითებები მოცემულია **გამოყენების მოთხოვნებში** - გმ 1 - გმ 5.

1.2 საანგარიშგებო სფეროები და პოლიტიკების, ქმედებების, სამიზნე მაჩვენებლებისა და მდგრადობის მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნები

12. ESRS 2-ში, ასევე თემატურ და სექტორულ სტანდარტებში *გამჟღავნების მოთხოვნები* ორგანიზებულია ქვემოთ მოცემული საანგარიშგებო სფეროების მიხედვით:

- ა) **მმართველობა (GOV)**: მმართველობითი პროცესები, კონტროლის საშუალებები და პროცედურები, რომელიც გამოიყენება **ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების** მონიტორინგის, მართვისა და ზედამხედველობის პროცესში (იხილეთ ESRS 2, მე-2 თავი - „*მმართველობა*“);
- ბ) **სტრატეგია (SBM)**: როგორ ურთიერთქმედებს საწარმოს სტრატეგია და **ბიზნესმოდელი** მის არსებით ზემოქმედებასთან, რისკებსა და შესაძლებლობებთან, მათ შორის როგორ რეაგირებს საწარმო ზემოქმედებაზე, რისკებსა და შესაძლებლობებზე (იხილეთ ESRS 2, მე-3 თავი - „*სტრატეგია*“);
- გ) **ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვა (IRO)**: პროცეს(ებ)ი, რომლის საშუალებითაც საწარმო:
 - ავლენს ზემოქმედებას, რისკებსა და შესაძლებლობებს და აფასებს მათ **არსებითობას** (იხილეთ ESRS 2-ის განყოფილება 4.1, IRO-1);
 - მართავს **მდგრადობის** არსებით **საკითხებს პოლიტიკებისა და ქმედებების** მეშვეობით (იხილეთ ESRS 2-ის განყოფილება 4.2);
- დ) **მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები (MT)**: საწარმოს საქმიანობის შედეგები, მათ შორის საწარმოს მიერ დაწესებული სამიზნე მაჩვენებლები და მათი მიღწევის პროგრესი (იხილეთ ESRS 2-ის მე-5 თავი - „*მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები*“).

13. ESRS 2 მოიცავს:

- ა) **პოლიტიკებთან (MDR – P)** და **ქმედებებთან (MDR – A)** დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მინიმალურ მოთხოვნებს - განყოფილება 4.2-ში;
- ბ) მდგრადობის მაჩვენებლებსა (MDR - M) და სამიზნე მაჩვენებლებთან (MDR – T) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მინიმალურ მოთხოვნებს - განყოფილება 5-ში.

საწარმომ პოლიტიკებთან, ქმედებებთან, მდგრადობის მაჩვენებლებსა და **სამიზნე მაჩვენებლებთან** დაკავშირებული **ინფორმაციის გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნები** თემატურ და სექტორულ ESRS სტანდარტებში მოცემულ *გამჟღავნების* შესაბამის *მოთხოვნებთან* ერთად უნდა გამოიყენოს.

1.3 სარედაქციო შეთანხმებები

14. ყველა ESRS სტანდარტში:

- ა) ტერმინი „**ზემოქმედება**“ ეხება მდგრადობასთან დაკავშირებულ დადებით ან უარყოფით ზემოქმედებას, რომელიც უკავშირდება საწარმოს ბიზნესსაქმიანობას და რომლის იდენტიფიცირებასაც საწარმო **ზემოქმედების არსებითობის** შეფასებისას ახდენს (იხილეთ განყოფილება 3.4 – „**ზემოქმედების არსებითობა**“). იგი ეხება როგორც არსებულ, ისე პოტენციურ ზემოქმედებას.
- ბ) ტერმინი „**რისკები** და **შესაძლებლობები**“ ეხება საწარმოს მდგრადობასთან დაკავშირებულ ფინანსურ რისკებსა და შესაძლებლობებს (მათ შორის მათ, რომლებიც გამომდინარეობს ბუნებრივ, ადამიანურ და სოციალურ რესურსებზე დამოკიდებულებისგან), რომლის იდენტიფიცირებასაც საწარმო **ფინანსური არსებითობის** შეფასებისას ახდენს (იხილეთ განყოფილება 3.5).

ერთობლივად, მათ ეწოდებათ „ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები“ (IRO). ისინი დანახულ უნდა იქნეს მე-3 განყოფილებაში აღწერილი ESRS სტანდარტების **ორმაგი არსებითობის** პერსპექტივიდან.

- 15. ESRS სტანდარტებში, ყველა ის ტერმინი, რომელიც განმარტებულია გლოსარში (დანართი II) წარმოდგენილია **მუქი დახრილი შრიფტით**, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი ერთსა და იმავე აბზაცში ერთზე მეტჯერ გამოიყენება.
- 16. ESRS სტანდარტებში, ინფორმაცია, რომელიც საწარმომ უნდა გაამჟღავნოს, წარმოდგენილია **გამჟღავნების მოთხოვნების** განყოფილების სახით. **გამჟღავნების მოთხოვნების** თითოეული განყოფილება შეიცავს ერთ ან მეტ „ქვეპუნქტს“. ტერმინი „ქვეპუნქტი“ შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს **გამჟღავნების მოთხოვნების** განყოფილების იმ ქვეელემენტთან მიმართებაში, რომელიც ნარატიული სახითაა წარმოდგენილი.
- 17. გარდა **გამჟღავნების მოთხოვნებისა**, ESRS სტანდარტების უმეტესობა ასევე შეიცავს **გამოყენების მოთხოვნების** განყოფილებას. **გამოყენების მოთხოვნები** ავსებს **გამჟღავნების მოთხოვნებს** და იგივე ძალისაა, როგორც ESRS სტანდარტების სხვა ნაწილები.
- 18. საწარმოს მიერ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულების ხარისხების განსხვავების მიზნით, ESRS სტანდარტებში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები:
 - ა) „ვალდებულია/უნდა გაამჟღავნოს“ - მიუთითებს, რომ დებულება დადგენილია **გამჟღავნების მოთხოვნებში** ან მის რომელიმე ქვეპუნქტში;
 - ბ) „შეუძლია გაამჟღავნოს“ - მიუთითებს გამჟღავნების ნებაყოფლობითობაზე კარგი პრაქტიკის წახალისების მიზნით.

გარდა ამისა, ESRS სტანდარტებში გამოყენებულია ტერმინი „უნდა გაითვალისწინოს/განიხილოს“ იმ საკითხებთან, რესურსებსა და მეთოდოლოგიებთან მიმართებით, რომლებსაც, მოსალოდნელია, რომ საწარმო მხედველობაში მიიღებს ან გამოიყენებს კონკრეტული გასამჟღავნებელი ინფორმაციის მომზადების პროცესში (თუ ეს შესაფერისია).

2. ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები

19. *მდგრადობის ანგარიშგების* მომზადებისას საწარმომ უნდა გამოიყენოს:

- ა) ინფორმაციის ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები, ე.ი. შესაბამისობა და ობიექტური წარდგენა; და
- ბ) ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ზრდის ინფორმაციის სარგებლიანობას, ე.ი. შესადარისობა, შემოწმებადობა, აღქმადობა.

20. ინფორმაციის ეს ხარისხობრივი მახასიათებლები დადგენილი და აღწერილია წინამდებარე სტანდარტის „ბ“ დანართში.

3. ორმაგი არსებითობა, როგორც მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების საფუძველი

21. *მდგრადობის საკითხებზე* ანგარიშის მომზადებისას საწარმო ვალდებულია გამოიყენოს წინამდებარე თავში დადგენილი და განმარტებული *ორმაგი არსებითობის* პრინციპი.

3.1. დაინტერესებული მხარეები და მათი როლი არსებითობის შეფასების პროცესში

22. *დაინტერესებული მხარეები* არიან ისინი, ვინც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს საწარმოზე ან ვისზეც საწარმო ახდენს ზეგავლენას. არსებობს დაინტერესებული მხარეების ორი ძირითადი ჯგუფი:

- ა) ზეგავლენის ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეები: პირები ან ჯგუფები, რომელთა ინტერესებზე - დადებით ან უარყოფით - ზეგავლენას ახდენს (ან შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს) საწარმოს საქმიანობა და მისი *ღირებულებათა ჯაჭვის* ფარგლებში განხორციელებული პირდაპირი და არაპირდაპირი *საქმიანი ურთიერთობები*; და
- ბ) *მდგრადობის ანგარიშგების* მომხმარებლები: საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები (არსებული ან პოტენციური ინვესტორები, გამსესხებლები ან სხვა კრედიტორები, მათ შორის, აქტივების მმართველები, საკრედიტო ინსტიტუტები, სადაზღვევო კომპანიები), ასევე სხვა მომხმარებლები, მათ შორის, საწარმოს ბიზნესპარტნიორები, პროფკავშირები ან პარტნიორები სოციალურ საკითხებში, სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები, მთავრობები, ანალიტიკოსები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები.

23. ზოგიერთი, მაგრამ არა ყველა, *დაინტერესებული მხარე* შეიძლება მიეკუთვნებოდეს 22-ე პუნქტში მითითებულ ორივე ჯგუფს.

24. ზეგავლენის ქვეშ მყოფი *დაინტერესებული მხარეების* ჩართულობა საწარმოს მიმდინარე კომპლექსური შემოწმებისა (იხილეთ მე-4 თავი - „*კომპლექსური შემოწმება*“) და მდგრადობასთან დაკავშირებული *არსებითობის* შეფასების პროცესში უმთავრესია. ეს მოიცავს არსებული და პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებების გამოვლენისა და შეფასების მიზნით საწარმოში მიმდინარე პროცესებს, რომელიც შემდეგ მდგრადობის ანგარიშგების მიზნებისთვის არსებითი ზემოქმედების შემთხვევების გამოვლენის პროცესს განაპირობებს (იხილეთ წინამდებარე სტანდარტის განყოფილება 3.4).

3.2 არსებითი საკითხები და ინფორმაციის არსებობა

25. აუცილებელია საწარმომ განახორციელოს **არსებობის** შეფასება (იხილეთ განყოფილება 3.4 – „**ზემოქმედების არსებობა**“ და განყოფილება 3.5 – „**ფინანსური არსებობა**“) იმ **ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების** გამოვლენის მიზნით, რომელიც ანგარიშგებაში უნდა ასახოს.
26. მდგრადობის საკითხებზე ESRS სტანდარტების შესაბამისი ანგარიშგების მომზადებისას **არსებობის** შეფასება ამოსავალი წერტილია. IRO-1-ში, ESRS 2-ის 4.1 განყოფილებაში, საწარმოს მიერ **ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების** გამოვლენისა და მათი არსებობის შეფასების პროცესის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნებია მოცემული. ESRS 2-ში წარმოდგენილი SBM-3 ნაწილი კი მოიცავს ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნებს საწარმოს მიერ არსებობის შეფასების შედეგად დადგენილი არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ.
27. **არსებობის** შეფასების პროცესის უკეთ აღქმის მიზნით, წინამდებარე სტანდარტის „ა“ დანართის *გამოყენების მოთხოვნებში* მოცემულია **მდგრადობის** იმ **საკითხების** ჩამონათვალი, რომელსაც თემატური სტანდარტები ფარავს. ისინი, თავის მხრივ, დაყოფილია თემებად, ქვეთემებად და ქვე-ქვეთემებად. წინამდებარე სტანდარტის „ე“ დანართში - „*გასამჟღავნებელი ინფორმაციის დასადგენი დიაგრამა*“ - წარმოდგენილია ამ განყოფილებაში აღწერილი არსებობის შეფასების საილუსტრაციო მაგალითი.
28. მდგრადობის საკითხი არის „არსებითი“, თუ იგი აკმაყოფილებს **ზემოქმედების არსებობის** (იხილეთ წინამდებარე სტანდარტის განყოფილება 3.4) ან **ფინანსური არსებობის** (იხილეთ წინამდებარე სტანდარტის განყოფილება 3.5) ან ორივე მათგანის კრიტერიუმებს.
29. არსებობის შეფასების შედეგის მიუხედავად, საწარმო ყოველთვის ვალდებულია გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება: ESRS 2-ით – „*ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები*“ (ე.ი. ESRS 2-ში მოცემული *გამჟღავნების მოთხოვნები* და მათი ქვეპუნქტები სრულად) და თემატური სტანდარტების *გამჟღავნების მოთხოვნებით* (მათი ქვეპუნქტების ჩათვლით), რომელიც უკავშირდება IRO-1 გამჟღავნების მოთხოვნას - „*არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესის აღწერა*“, როგორც ეს ჩამოთვლილია ESRS 2-ის „გ“ დანართში - „*თემატური ESRS სტანდარტების გამჟღავნების/გამოყენების მოთხოვნები, რომელიც გამოიყენება ESRS 2-ის საერთო მოთხოვნებთან ერთად*“.
30. როდესაც საწარმო, **არსებობის** შეფასების შედეგად, დაასკვნის, რომ მდგრადობის ის საკითხი არის არსებითი, რომელთან დაკავშირებით ESRS 2-ში წარმოდგენილი IRO-1, IRO-2 და SBM-3 ნაწილები გამჟღავნების მოთხოვნებს ადგენს, იგი ვალდებულია:
- ა) გაამჟღავნოს ინფორმაცია შესაბამის თემატურ და სექტორულ სტანდარტებში მდგრადობის ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მოცემული *გამჟღავნების მოთხოვნების* (მათ შორის *გამოყენების მოთხოვნების*) შესაბამისად; და
 - ბ) გაამჟღავნოს საწარმოსთვის სპეციფიკური დამატებითი ინფორმაცია (იხილეთ წინამდებარე სტანდარტის მე-11 პუნქტი და გმ 1 - გმ 5 პუნქტები) მაშინ, როდესაც მოცემულ მდგრადობის არსებით საკითხს ESRS სტანდარტი არ ფარავს ან არასაკმარისი დეტალიზაციით ფარავს.
31. საწარმო ვალდებულია გაამჟღავნოს *გამჟღავნების მოთხოვნებით* (მათ შორის მისი ქვეპუნქტებით) დადგენილი შესაბამისი ინფორმაცია ან საწარმოსთვის სპეციფიკური

ინფორმაცია მაშინ, როდესაც ინფორმაციის არსებითობის შეფასებისას იგი დაადგენს, რომ ინფორმაცია შესაფერისია ერთი ან მეტი ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტის გათვალისწინებით:

- ა) ინფორმაციის მნიშვნელოვნება იმ საკითხთან მიმართებაში, რომელსაც იგი აღწერს ან ხსნის; ან
- ბ) ასეთი ინფორმაციის შესაძლებლობა, დააკმაყოფილოს მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებელთა საჭიროებები გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მათ შორის საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლების ის საჭიროებები, რომელიც აღწერილია 48-ე პუნქტში ან/და იმ მომხმარებელთა საჭიროებები, რომელთა ძირითადი ინტერესის საგანს წარმოადგენს ინფორმაცია საწარმოს ზემოქმედების შესახებ.

32. თუ საწარმო დაასკვნის, რომ კლიმატის ცვლილება არ არის არსებითი საკითხი და შესაბამისად გამოტოვებს ESRS E1-ით - „*კლიმატის ცვლილება*“ - დადგენილ გამჟღავნების მოთხოვნებს, იგი ვალდებულია დეტალურად განმარტოს კლიმატის ცვლილების საკითხის **არსებითობის** შეფასების დასკვნები (იხილეთ ESRS 2-ის IRO-2 – “*ESRS სტანდარტების გამჟღავნების მოთხოვნები, რომლებსაც აკმაყოფილებს საწარმოს მდგრადობის ანგარიშგება*”), მათ შორის, პერსპექტიული ანალიზი იმ პირობების შესახებ, რომლის საფუძველზეც საწარმო მომავალში შესაძლოა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ კლიმატის ცვლილების საკითხი არსებითია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ კლიმატის ცვლილების გარდა სხვა რომელიმე საკითხი არ არის არსებითი და შესაბამისად გამოტოვებს შესაბამისი თემატური სტანდარტებით დადგენილ გამჟღავნების მოთხოვნებს, მას შეუძლია ამ საკითხის არსებითობის შეფასების დასკვნები მოკლედ განმარტოს.

33. როდესაც საწარმო ამჟღავნებს ინფორმაციას **პოლიტიკების, ქმედებებისა და სამიზნე მაჩვენებლების** შესახებ **მდგრადობის** ისეთ **საკითხთან** დაკავშირებით, რომელიც არსებითად შეფასდა, მან უნდა გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც გათვალისწინებულია ამ საკითხთან დაკავშირებული თემატური და სექტორული სტანდარტების ყველა **გამჟღავნების მოთხოვნასა** და ქვეპუნქტში, ასევე პოლიტიკების, ქმედებების და სამიზნე მაჩვენებლების შესახებ ESRS 2-ით დადგენილ **ინფორმაციის გამჟღავნების** შესაბამის **მინიმალურ მოთხოვნებში**. თუ საწარმოს არ შეუძლია გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც გათვალისწინებულია თემატური და სექტორული სტანდარტების **გამჟღავნების მოთხოვნებსა** და მის ქვეპუნქტებში, ასევე პოლიტიკების, ქმედებების და სამიზნე მაჩვენებლების შესახებ ESRS 2-ით დადგენილ **ინფორმაციის გამჟღავნების მინიმალურ მოთხოვნებში** იმ მიზეზით, რომ მას არ აქვს შემოღებული შესაბამისი პოლიტიკა, არ განუხორციელებია შესაბამისი ქმედებები ან არ დაუწესებია შესაბამისი სამიზნე მაჩვენებლები, მან უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და შეუძლია მიუთითოს ვადები, რომელშიც იგი მიზნად ისახავს აღნიშნული პოლიტიკების, ქმედებებისა და სამიზნე მაჩვენებლების შემოღებას.

34. როდესაც საწარმო, შესაბამისი თემატური სტანდარტის განყოფილების - „*მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები*“ - შესაბამისად, ამჟღავნებს ინფორმაციას **მდგრადობის** არსებით **საკითხთან** დაკავშირებული **მდგრადობის მაჩვენებლების** შესახებ, მაშინ:

- ა) საწარმო ვალდებულია გაამჟღავნოს **გამჟღავნების მოთხოვნებით** დადგენილი ისეთი ინფორმაცია, რომელიც მისი შეფასებით არსებითია; და

- ბ) საწარმოს შეუძლია გამოტოვოს *გამჟღავნების მოთხოვნების* ქვეპუნქტით დადგენილი ინფორმაცია, თუ მისი შეფასებით ეს ინფორმაცია არ არის არსებითი და იგი დაასკვნის, რომ ეს ინფორმაცია *გამჟღავნების მოთხოვნების* მიზნის დასაკმაყოფილებლად საჭირო არ არის.
35. თუ საწარმო გამოტოვებს ისეთი ქვეპუნქტით დადგენილ ინფორმაციას, რომელიც გამომდინარეობს ევროკავშირის იმ კანონმდებლობიდან, რომელიც ჩამოთვლილია ESRS 2-ის „ბ“ დანართში, იგი ვალდებულია ცალსახად განაცხადოს, რომ აღნიშნული ინფორმაცია „არ არის არსებითი“.
36. საწარმომ უნდა დაადგინოს, თუ როგორ გამოიყენებს იგი კრიტერიუმებს, მათ შორის შესაბამის ზღვრებს, იმისათვის რომ განსაზღვროს:
- ა) რა ინფორმაციას ამჟღავნებს იგი მდგრადობის არსებით საკითხთან დაკავშირებული *მდგრადობის მაჩვენებლების* შესახებ, შესაბამისი თემატური სტანდარტის განყოფილების - „*მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები*“ - შესაბამისად, როგორც ეს მოცემულია 34-ე პუნქტში; და
 - ბ) რა ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს საწარმოსთვის სპეციფიკური ინფორმაციის სახით.

3.3 ორმაგი არსებითობა

37. *ორმაგ არსებითობას* აქვს ორი განზომილება, კერძოდ: *ზემოქმედების არსებითობა* და *ფინანსური არსებითობა*. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ტერმინები „არსებითი“ და „არსებითობა“ ESRS სტანდარტებში ორმაგი არსებითობის მნიშვნელობით გამოიყენება.
38. *ზემოქმედების არსებითობისა* და *ფინანსური არსებითობის* შეფასებები ურთიერთდაკავშირებულია და ამ ორ განზომილებას შორის ურთიერთდამოკიდებულება უნდა იქნეს გათვალისწინებული. ზოგადად, საწყისი წერტილი *ზემოქმედების* შეფასებაა, თუმცა ასევე შეიძლება არსებობდეს არსებითი *რისკები* და *შესაძლებლობები*, რომლებიც საწარმოს *ზემოქმედებას* არ უკავშირდება. მდგრადობასთან დაკავშირებული *ზემოქმედება* შეიძლება დასაწყისშივე იყოს, ან შემდგომ გახდეს ფინანსურად არსებითი, იმ შემთხვევაში, როდესაც გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ის გავლენას მოახდენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსური საქმიანობის შედეგებზე, ფულად ნაკადებზე, დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე ან კაპიტალის ღირებულებაზე მოკლე, საშუალო ან გრძელვადიან პერიოდში. *ზემოქმედება* *ზემოქმედების* თვალსაზრისით არსებითია, იმისდა მიუხედავად, არის თუ არა იგი ფინანსურად არსებითი.
39. საწარმოს *ღირებულებათა ჯაჭვში* არსებული *ზემოქმედების, რისკებისა* და *შესაძლებლობების* გამოვლენისა და შეფასებისას, მათი *არსებითობის* განსაზღვრის მიზნით, საწარმომ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ სფეროებზე, სადაც იგი მიიჩნევს, რომ საქმიანობების, საქმიანი ურთიერთობების, გეოგრაფიული მდებარეობის და სხვა ფაქტორების ბუნებიდან გამომდინარე მოსალოდნელია წარმოიშვას *ზემოქმედება*, რისკები და შესაძლებლობები.
40. საწარმომ უნდა გაითვალისწინოს, თუ რა გავლენას ახდენს მასზე მისი *დამოკიდებულება* შესაბამისი ფასისა და ხარისხის მქონე, ბუნებრივი, ადამიანური და სოციალური

რესურსების ხელმისაწვდომობაზე, ამ რესურსებზე მისი პოტენციური **ზემოქმედების** მიუხედავად.

41. მიიჩნევა, რომ საწარმოს ძირითადი **ზემოქმედება, რისკები** და **შესაძლებლობები** იგივეა, რაც **ორმაგი არსებობის** პრინციპის შესაბამისად იდენტიფიცირებული არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და აქედან გამომდინარე იგი **მდგრადობის ანგარიშგებაში** აისახება.
42. საწარმომ უნდა გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტის 3.4 და 3.5 განყოფილებებში დადგენილი კრიტერიუმები, შესაბამისი რაოდენობრივი ან/და ხარისხობრივი ზღვრების გათვალისწინებით. შესაბამისი ზღვრების გათვალისწინება საჭიროა იმის დასადგენად, თუ რომელი არსებითი **ზემოქმედება, რისკები** და **შესაძლებლობები** გამოავლინა საწარმომ და მოახდინა მასზე რეაგირება და **მდგრადობის** რომელი **საკითხებია** არსებითი ანგარიშგების მიზნებისთვის. ზოგიერთ არსებულ სტანდარტსა და სტრუქტურულ საფუძვლებში გამოიყენება ტერმინი „ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება“ იმ ზემოქმედების აღსანიშნავად, რასაც ESRS სტანდარტებში „არსებითი ზემოქმედება“ ეწოდება.

3.4 ზემოქმედების არსებობა

43. **მდგრადობის საკითხი** არსებითია ზემოქმედების თვალსაზრისით, თუ იგი ეხება საწარმოს არსებით **ზემოქმედებას**, არსებულს ან პოტენციურს, დადებითს ან უარყოფითს, ადამიანებზე ან გარემოზე, მოკლე, საშუალო ან გრძელვადიან პერიოდში. იგი მოიცავს ისეთ ზემოქმედებას, რომელიც უკავშირდება საწარმოს საკუთარ ოპერაციებს, აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვს, მათ შორის მის პროდუქციასა და მომსახურებას, ასევე საქმიან ურთიერთობებს. **საქმიანი ურთიერთობები** მოიცავს საწარმოს აღმავალი და დაღმავალი **ღირებულებათა ჯაჭვის** ურთიერთობებს და არ შემოიფარგლება მხოლოდ პირდაპირი სახელშეკრულებო ურთიერთობებით.
44. ამ კონტექსტში, ადამიანებზე ან გარემოზე ზემოქმედება მოიცავს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებთან დაკავშირებულ ზემოქმედებას.
45. უარყოფითი ზემოქმედების არსებობის შეფასება ეფუძნება კომპლექსური შემოწმების პროცესს, რომელიც განსაზღვრულია ისეთ საერთაშორისო დოკუმენტებში, როგორცაა გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები მულტინაციონალური საწარმოებისთვის. არსებული უარყოფითი ზემოქმედების შემთხვევაში, არსებობის შეფასება ეფუძნება ზემოქმედების სერიოზულობას, ხოლო პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების შემთხვევაში - ზემოქმედების სერიოზულობასა და ალბათობას. ზემოქმედების სერიოზულობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:
 - ა) ხარისხი;
 - ბ) მასშტაბი; და
 - გ) ზემოქმედების გამოსწორების შესაძლებლობა.

როდესაც საქმე ეხება ადამიანის უფლებებზე პოტენციურ უარყოფით ზემოქმედებას, ზემოქმედების ალბათობასთან შედარებით უპირატესობა მის სერიოზულობას ენიჭება.

46. დადებითი ზემოქმედების არსებობის შეფასება ეფუძნება შემდეგ ფაქტორებს:

- ა) არსებული ზემოქმედების შემთხვევაში, ზემოქმედების ხარისხსა და მასშტაბს; და
- ბ) პოტენციური ზემოქმედების შემთხვევაში, ზემოქმედების ხარისხს, მასშტაბსა და ალბათობას.

3.5 ფინანსური არსებითობა

47. მდგრადობის ანგარიშების მიზნებისთვის, **ფინანსური არსებითობის** განსაზღვრა წარმოადგენს არსებითობის შეფასების იმ პროცესის გაგრძელებას, რომლის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, თუ რა ინფორმაცია უნდა აისახოს საწარმოს ფინანსურ ანგარიშებაში.
48. **ფინანსური არსებითობის** შეფასება გულისხმობს იმ ინფორმაციის განსაზღვრას, რომელიც არსებითია საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშების ძირითადი მომხმარებლებისთვის საწარმოსთვის რესურსების მიწოდებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისას. კერძოდ, ინფორმაცია არსებითია, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ მისმა გამოტოვებამ, დამახინჯებამ ან ბუნდოვნად წარმოდგენამ შეიძლება გავლენა მოახდინოს იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშების ძირითადი მომხმარებლები საწარმოს **მდგრადობის ანგარიშების** საფუძველზე იღებენ.
49. მდგრადობის საკითხი არსებითია ფინანსური თვალსაზრისით, თუ იგი იწვევს ან, გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ იგი გამოიწვევს საწარმოსთვის არსებით **ფინანსურ შედეგებს**. ეს არის ის შემთხვევა, როდესაც მდგრადობის საკითხი წარმოქმნის ისეთ **რისკებს** ან **შესაძლებლობებს**, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ ან, გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ არსებით გავლენას მოახდენენ საწარმოს განვითარებაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსური საქმიანობის შედეგებზე, ფულად ნაკადებზე, დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე ან კაპიტალის ღირებულებაზე მოკლე, საშუალო ან გრძელვადიან პერიოდში. რისკები და შესაძლებლობები შეიძლება წარმოიქმნას წარსული ან მომავალი მოვლენების შედეგად. მდგრადობის საკითხის **ფინანსური არსებითობა** არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ საკითხებით, რომლებიც საწარმოს კონტროლს ექვემდებარება, არამედ იგი მოიცავს ინფორმაციას იმ არსებითი **რისკებისა** და **შესაძლებლობების** შესახებ, რომლებიც უკავშირდება ფინანსური ანგარიშების მომზადებისას გამოყენებული კონსოლიდაციის დონის მიღმა დამყარებულ **საქმიან ურთიერთობებს**.
50. ფინანსური **რისკების** ან **შესაძლებლობების** წყარო შეიძლება იყოს ბუნებრივ, ადამიანურ და სოციალურ რესურსებზე **დამოკიდებულება**. დამოკიდებულებას შეუძლია შედეგები გამოიწვიოს ორი გზით:
- ა) მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საწარმოს უნარზე, გააგრძელოს მის ბიზნესსაქმიანობაში საჭირო რესურსების გამოყენება ან მოპოვება, ასევე მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ამ რესურსების ხარისხსა და ფასზე; და
 - ბ) მათ შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ საწარმოს უნარზე, დაეყრდნოს მის ბიზნესპროცესებში საჭირო ურთიერთობებს მისაღები პირობებით.
51. **რისკებისა** და **შესაძლებლობების არსებითობა** ფასდება **ფინანსური შედეგების** წარმოქმნის ალბათობისა და მათი პოტენციური მნიშვნელოვნების კომბინაციის საფუძველზე.

3.6 მდგრადობის საკითხებზე რეაგირების მიზნით განხორციელებული ქმედებების შედეგად წარმოქმნილი არსებითი ზემოქმედება და რისკები

52. საწარმოს მიერ *არსებითობის* შეფასებისას შესაძლოა გამოვლინდეს ისეთი სიტუაციები, როდესაც საწარმოს მიერ გარკვეულ *ზემოქმედებაზე* ან *რისკებზე* რეაგირების ან მდგრადობის საკითხთან დაკავშირებული გარკვეული *შესაძლებლობებით* სარგებლობის მიზნით განხორციელებულმა *ქმედებებმა*, *მდგრადობის* სხვა ერთ ან მეტ *საკითხთან* დაკავშირებით შეიძლება გამოიწვიოს არსებითი უარყოფითი ზემოქმედება ან არსებითი რისკები. მაგალითად:

- ა) წარმოების დეკარბონიზაციის სამოქმედო გეგმამ, რომელიც გარკვეულ პროდუქციაზე უარის თქმას მოიცავს, შეიძლება არსებითი უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს საწარმოს *საკუთარ სამუშაო ძალაზე* და მათთვის სამსახურიდან დათხოვნის კომპენსაციის გადახდის ვალდებულებამ საწარმოსთვის არსებითი რისკები წარმოქმნას; ან
- ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნაწილების *მომწოდებლების* სამოქმედო გეგმამ, კონცენტრირდნენ ელექტროსატრანსპორტო საშუალებების ნაწილებით მომარაგებაზე, შეიძლება გამოიწვიოს ჩვეულებრივი სატრანსპორტო საშუალებების ნაწილების წარმოების აქტივების ნაადრევად გაუფასურება.

53. ასეთ შემთხვევებში, საწარმო ვალდებულია:

- ა) გაამყვანოს ინფორმაცია როგორც არსებითი უარყოფითი ზემოქმედების ან არსებითი რისკების არსებობის, ისე მათი წარმომქმნელი *ქმედებების* შესახებ, იმ თემაზე ჯვარედინი მითითებით, რომელსაც ეს ზემოქმედება ან რისკები უკავშირდება; და
- ბ) აღწეროს, თუ როგორ რეაგირებს იგი ასეთ არსებით უარყოფით ზემოქმედებაზე ან არსებით რისკებზე იმ თემასთან დაკავშირებული მოთხოვნების ფარგლებში, რომელსაც ისინი უკავშირდება.

3.7 დეზაგრეგირების დონე

54. საწარმოს არსებითი *ზემოქმედების*, *რისკების* და *შესაძლებლობების* შესახებ სათანადო წარმოდგენის შექმნის მიზნით, საწარმომ საანგარიშგებო ინფორმაციის დეზაგრეგირება უნდა მოახდინოს:

- ა) ქვეყნების მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება და ინფორმაციის გადაჭარბებული აგრეგირება ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ არსებით ინფორმაციას ბუნდოვანს გახდიდა;
- ბ) *საქმიანობის განხორციელების* მნიშვნელოვანი *ადგილების* ან მნიშვნელოვანი აქტივების მიხედვით, როდესაც არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები დიდადაა დამოკიდებული სწორედ კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე ან აქტივზე.

55. საწარმომ, ანგარიშგების მიზნებისთვის მონაცემების დეზაგრეგირების შესაფერისი დონის განსაზღვრისას, დეზაგრეგირების იგივე დონე უნდა გამოიყენოს, რომელსაც არსებითობის შეფასებისას იყენებს. საწარმოსთვის სპეციფიკური ფაქტებიდან და გარემოებებიდან გამომდინარე შესაძლოა საჭირო გახდეს მონაცემების დეზაგრეგირება შვილობილი საწარმოს დონეზე.
56. როდესაც საწარმო ახდენს ისეთი მონაცემების აგრეგირებას, რომელიც განსხვავდება დონის მიხედვით ან ერთი დონის ფარგლებში ადგილმდებარეობის მიხედვით, საწარმომ ეს იმგვარად უნდა გააკეთოს, რომ მისი ინტერპრეტაციისთვის საჭირო სპეციფიკა და კონტექსტი ბუნდოვანი არ გახდეს. საწარმომ არ უნდა მოახდინოს ისეთი არსებითი ინფორმაციის აგრეგირება, რომელიც ხასიათით განსხვავდება.
57. როდესაც საწარმო სექტორების მიხედვით დეზაგრეგირებულ ინფორმაციას წარადგენს, მან უნდა გამოიყენოს ESRS სტანდარტების სექტორული კლასიფიკაცია, რომელიც კომისიის მიერ 2013/34/EU დირექტივის 29b(1) მუხლის მე-3 ქვეპუნქტის (ii) პუნქტის შესაბამისად მიღებულ დელეგირებულ აქტში არის წარმოდგენილი. როდესაც თემატური ან სექტორული სტანდარტი მოითხოვს, რომ კონკრეტული ინფორმაციის შემცველი მუხლი უნდა მომზადდეს დეზაგრეგირების განსაზღვრული დონის გამოყენებით, მაშინ ამ თემატური ან სექტორული სტანდარტის მოთხოვნები უნდა იქნეს გამოყენებული.

4. კომპლექსური შემოწმება

58. მდგრადობის საკითხების კომპლექსური შემოწმების პროცესის (შემდგომში - „კომპლექსური შემოწმება“) შედეგები განსაზღვრავს საწარმოს მიერ საკუთარი არსებითი **ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების** შეფასებას. ESRS სტანდარტები არ აწესებს კომპლექსური შემოწმების პროცესის ჩატარების მოთხოვნებს, იგი ასევე არ აფართოებს და არ ცვლის კომპლექსური შემოწმების პროცესის ჩატარებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების უფლებამოსილებებს.
59. კომპლექსური შემოწმება არის პროცესი, რომელსაც საწარმო იყენებს გარემოსა და მის ბიზნესსაქმიანობასთან დაკავშირებულ ადამიანებზე არსებული და პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების გამოსავლენად, პრევენციისთვის, შერბილებისა და მათზე რეაგირების ზომების შესახებ ანგარიშის შესადგენად. იგი მოიცავს იმ უარყოფით ზემოქმედებას, რომელიც უკავშირდება საწარმოს საკუთარ ოპერაციებს და მის აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვს, მათ შორის მის პროდუქციასა და მომსახურებას და საქმიან ურთიერთობებს. კომპლექსური შემოწმება არის უწყვეტი პროცესი, რომელიც მოქმედებს საწარმოს სტრატეგიაზე, ბიზნესმოდელზე, საქმიანობებზე, საქმიან ურთიერთობებზე, საოპერაციო, მომწოდებლების მოძიებისა და გაყიდვის კონტექსტებზე და შეიძლება გამოიწვიოს მათი ცვლილებაც. ეს პროცესი აღწერილია ისეთ საერთაშორისო დოკუმენტებში, როგორცაა გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები მულტიწაციალური საწარმოებისთვის.
60. აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტებით დადგენილია კომპლექსური შემოწმების პროცესის ეტაპები, მათ შორის იმ უარყოფითი ზემოქმედების გამოვლენა და შეფასება, რომელიც უკავშირდება საწარმოს საკუთარ ოპერაციებს და მის აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვს, მათ შორის მის პროდუქციასა და მომსახურებას და საქმიან ურთიერთობებს. როდესაც საწარმოს არ შეუძლია ყველა ზემოქმედებაზე ერთდროულად რეაგირება, კომპლექსური შემოწმების პროცესში ნებადართულია სამოქმედო ნაბიჯების პრიორიტეტების მიხედვით განხორციელება, ზემოქმედების სერიოზულობისა და ალბათობის საფუძველზე. კომპლექსური შემოწმების პროცესის სწორედ ეს ასპექტი

განაპირობებს არსებითი ზემოქმედების შეფასებას (იხილეთ წინამდებარე სტანდარტის 3.4 განყოფილება). არსებითი ზემოქმედების გამოვლენა ასევე ხელს უწყობს მდგრადობასთან დაკავშირებული არსებითი **რისკებისა** და **შესაძლებლობების** იდენტიფიცირებას, რომელიც ხშირად სწორედ ასეთი ზემოქმედების შედეგად წარმოიშობა.

61. კომპლექსური შემოწმების ძირითადი ელემენტები უშუალოდაა ასახული ESRs 2-ისა და თემატური ESRs სტანდარტების *გამჟღავნების მოთხოვნებში*. კერძოდ:

ა) კომპლექსური შემოწმების დანერგვა მმართველობის, სტრატეგიისა და ბიზნესმოდელის შემუშავების პროცესში³. იგი წარმოდგენილია შემდეგ სტანდარტებში:

- i. ESRs 2 GOV-2: *საწარმოს ადმინისტრაციული, მართვის და საზედამბებლო ორგანოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია და მდგრადობის საკითხები, რომელზეც მათ მოახდინეს რეაგირება;*
- ii. ESRs 2 GOV-3: *მდგრადობასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგების ინტეგრირება წამახალისებელ სქემებში; და*
- iii. ESRs 2 SBM-3: *არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი გავლენა სტრატეგიასა და ბიზნესმოდელზე.*

ბ) ზეგავლენის ქვეშ მყოფი **დაინტერესებული მხარეების** ჩართულობა⁴. იგი წარმოდგენილია შემდეგ სტანდარტებში:

- i. ESRs 2 GOV-2;
- ii. ESRs 2 SBM-2: *დაინტერესებულ მხარეთა ინტერესები და ხედვები;*
- iii. ESRs 2 IRO-1;
- iv. ESRs 2 MDR-P; და
- v. თემატური სტანდარტი: კომპლექსური შემოწმების პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის სხვადასხვა ეტაპებისა და მიზნების ასახვა.

გ) ადამიანებზე და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების გამოვლენა და შეფასება⁵. იგი წარმოდგენილია შემდეგ სტანდარტებში:

- i. ESRs 2 IRO-1 (მათ შორის, **მდგრადობის** კონკრეტულ **საკითხებთან** დაკავშირებული **გამოყენების მოთხოვნები** შესაბამის ESRs სტანდარტში); და

³ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპი 16 და მისი კომენტარი. გაეროს განმარტებითი სახელმძღვანელო მითითება, კითხვები 21 და 25. ასევე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები თავი II - ზოგადი პოლიტიკა (პუნქტი A.10), თავი IV - ადამიანის უფლებები (პუნქტი 4; კომენტარის პუნქტი 44). ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები კომპლექსურ შემოწმებასთან დაკავშირებით, განყოფილება II (1.1 და 1.2) და დანართი, კითხვები 14 და 15.

⁴ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპი 18 და მისი კომენტარი, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპი 20, გაეროს 21-ე და 29-ე სახელმძღვანელო პრინციპების კომენტარი და გაეროს სახელმძღვანელო პრინციპი 31 (h) და მისი კომენტარი; გაეროს განმარტებითი სახელმძღვანელო მითითება, კითხვები 30, 33, 42 და 76, ასევე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები თავი II - ზოგადი პოლიტიკა (კომენტარის A.14 და 25-ე პუნქტები); ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები კომპლექსურ შემოწმებასთან დაკავშირებით, განყოფილება II (2.1.c, 2.3, 2.4.a, 3.1.b და 3.1.f) და დანართის კითხვები 8 – 11.

⁵ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები 17, 18 და 24 და მათი კომენტარები და გაეროს 29-ე სახელმძღვანელო პრინციპის კომენტარი; გაეროს განმარტებითი სახელმძღვანელო მითითება, კითხვები 9, 12-13, 27-28, 36-42 და 85-89 და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები თავი II - ზოგადი პოლიტიკა (კომენტარის A.10-11 და მე-14 პუნქტები) და თავი IV - ადამიანის უფლებები (კომენტარის პუნქტები 1-2 და 41-43); და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები კომპლექსურ შემოწმებასთან დაკავშირებით, განყოფილება II (2.1- 2.4) და დანართის კითხვები 3-5 და 19-31).

ii. ESRs 2 SBM-3.

დ) ადამიანებსა და გარემოზე უარყოფით ზემოქმედებაზე რეაგირების მიზნით ზომების მიღება⁶. იგი წარმოდგენილია შემდეგ სტანდარტებში:

i. ESRs 2 MDR-A; და

ii. თემატური სტანდარტი: ზემოქმედებაზე რეაგირების პროცესში განხორციელებული სხვადასხვა *ქმედებების*, მათ შორის *გარდამავალი გეგმების*, ასახვა.

ე) აღნიშნული ზომების ეფექტიანობაზე თვალყურის დევნება⁷. იგი წარმოდგენილია შემდეგ სტანდარტებში:

i. ESRs 2 MDR-M;

ii. ESRs 2 MDR-T; და

iii. თემატური სტანდარტი: *მდგრადობის მაჩვენებლებისა* და *სამიზნე მაჩვენებლების* შესახებ.

5. ღირებულებათა ჯაჭვი

5.1 ანგარიშვალდებული საწარმო და ღირებულებათა ჯაჭვი

62. *მდგრადობის ანგარიშგება* უნდა მომზადდეს იმავე ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, რომელმაც ფინანსური ანგარიშგება მოამზადა. მაგალითად, თუ ანგარიშვალდებული საწარმო არის შობელი საწარმო, რომელიც ვალდებულია მოამზადოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მან მდგრადობის ანგარიშგებაც უნდა მოამზადოს ჯგუფისთვის. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც ანგარიშვალდებულ საწარმოს არ მოეთხოვება ფინანსური ანგარიშგების მომზადება ან როდესაც ანგარიშვალდებული საწარმო კონსოლიდირებულ მდგრადობის ანგარიშგებას 2013/34/EU დირექტივის 48i მუხლის შესაბამისად ამზადებს.

63. *მდგრადობის ანგარიშგებაში* ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა განიცდოს საწარმოსთან დაკავშირებული ისეთი *ზემოქმედების, რისკებისა* და *შესაძლებლობების* შესახებ ინფორმაციით, რომელიც მის აღმავალ ან/და დადმავალ *ღირებულებათა ჯაჭვში* განხორციელებული პირდაპირი და არაპირდაპირი *საქმიანი ურთიერთობების* შედეგად („ღირებულებათა ჯაჭვის ინფორმაცია“) წარმოიშობა. ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის განვრცობისას, საწარმომ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მის აღმავალ და დადმავალ ღირებულებათა ჯაჭვთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ:

⁶ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები 19, 22 და 23 და მათი კომენტარები; და გაეროს განმარტებითი სახელმძღვანელო მითითება, კითხვები 11, 32, 46-47, 64-68 და 82-83 და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები თავი II - ზოგადი პოლიტიკა (კომენტარის პუნქტები A.12 და 18-22) და თავი IV - ადამიანის უფლებები (კომენტარის 3 და 42-43 პუნქტები); და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები კომპლექსურ შემოწმებასთან დაკავშირებით, განყოფილება II (3.1-3.2) და დანართის კითხვები 32-40).

⁷ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები 20 და 31(g) და მათი კომენტარები; გაეროს განმარტებითი სახელმძღვანელო მითითება, კითხვები 49-53 და 80 და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები კომპლექსურ შემოწმებასთან დაკავშირებით, განყოფილება II (4.1 და 5.1) და დანართის კითხვები 41-47.

- ა) რომელიც მან მოიპოვა კომპლექსური შემოწმების პროცესისა და *არსებითობის* შეფასების შედეგად;
- ბ) ღირებულებათა ჯაჭვთან დაკავშირებით სხვა ESRS სტანდარტებში წარმოდგენილი კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად.

64. 63-ე პუნქტი არ ავალდებულებს საწარმოს წარმოადგინოს ინფორმაცია *ღირებულებათა ჯაჭვის* ყოველი *მონაწილის* შესახებ. არამედ საწარმომ მისი აღმავალი და დაღმავალი *ღირებულებათა ჯაჭვის* შესახებ მხოლოდ არსებითი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს. საწარმოს აღმავალი და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვის სხვადასხვა ნაწილთან მიმართებით შეიძლება *მდგრადობის* სხვადასხვა *საკითხი* იყოს არსებითი. ღირებულებათა ჯაჭვის ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ღირებულებათა ჯაჭვის მხოლოდ იმ ნაწილებთან მიმართებით, რომლისთვისაც მდგრადობის საკითხი არსებითია.

65. საწარმომ უნდა წარადგინოს *ღირებულებათა ჯაჭვის* არსებითი ინფორმაცია, როდესაც ეს საჭიროა, იმისათვის, რომ:

- ა) *მდგრადობის ანგარიშგების* მომხმარებლებს ნათელი წარმოდგენა შეექმნათ საწარმოს არსებითი *ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების* შესახებ; ან/და
- ბ) წარმოადგინოს ინფორმაციის ისეთი ნაკრები, რომელიც ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს აკმაყოფილებს (იხილეთ წინამდებარე სტანდარტის „ბ“ დანართი).

66. იმისათვის, რომ საწარმომ განსაზღვროს საკუთარი ოპერაციებისა და აღმავალი და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვის რომელ დონეზე წარმოიქმნება მდგრადობის არსებითი საკითხი, მან *ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები ორმაგი არსებითობის* პრინციპის საფუძველზე უნდა შეაფასოს (იხილეთ წინამდებარე სტანდარტის მე-3 თავი).

67. როდესაც მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოები, რომლებიც აღირიცხება წილობრივი მეთოდით ან პროპორციულადაა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში, წარმოადგენენ საწარმოს ღირებულებათა ჯაჭვის ნაწილს, მაგალითად, მომწოდებლების სახით, საწარმომ ამ მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოების შესახებ ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს 63-ე პუნქტის შესაბამისად ისე, რომ თანხვედრაში იყოს ღირებულებათა ჯაჭვში სხვა *საქმიანი ურთიერთობების* აღრიცხვის მიმართ გამოყენებულ მიდგომასთან. ასეთ შემთხვევაში, ზემოქმედების *მდგრადობის მაჩვენებლების* განსაზღვრისას, მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს მონაცემები არ შემოიფარგლება მხოლოდ მასში ფლობილი საკუთარი კაპიტალის წილით, არამედ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ზემოქმედება, რომელიც საწარმოს საქმიანი ურთიერთობების გზით შექმნილ პროდუქციასა და მომსახურებას უკავშირდება.

5.2 შეფასება სექტორის საშუალო მაჩვენებლებისა და სხვა მსგავსი მონაცემების გამოყენებით

68. საწარმოს შესაძლებლობა მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია მისი აღმავალი და დაღმავალი *ღირებულებათა ჯაჭვის* შესახებ შეიძლება სხვადასხვა ფაქტორების მიხედვით განსხვავდებოდეს, როგორცაა საწარმოს სახელშეკრულებო შეთანხმებები, კონტროლის დონე, რომელიც საწარმოს კონსოლიდაციის ფარგლებს გარეთ განხორციელებულ

ოპერაციებზე აქვს და საწარმოს მსყიდველობითი უნარი. როდესაც საწარმოს არ შეუძლია გააკონტროლოს მისი აღმავალი ან/და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვისა და საქმიანი ურთიერთობების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობები, ღირებულებათა ჯაჭვის ინფორმაციის მოპოვება შედარებით რთული შეიძლება იყოს.

69. არსებობს შემთხვევები, როდესაც საწარმოს, გონივრულობის ფარგლებში გაწეული ძალისხმევით შედეგად, მაინც არ შეუძლია მოაგროვოს მისი აღმავალი და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვის შესახებ 63-ე პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია. ასეთ შემთხვევებში, საწარმომ, მისი აღმავალი და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვის შესახებ ის ინფორმაცია უნდა წარადგინოს, რომელსაც იგი ყველა გონივრული და დასაბუთებადი ინფორმაციის გამოყენების შედეგად დაადგენს, როგორცაა სექტორის საშუალო მაჩვენებლები და სხვა მსგავსი მონაცემები.
70. ღირებულებათა ჯაჭვის ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ასევე რთული აღმოჩნდეს მცირე და საშუალო საწარმოების შემთხვევაში ან აღმავალი ან/და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვის სხვა ისეთი საწარმოების შემთხვევაში, რომელთაც 2013/34/EU დირექტივის 19a და 29a მუხლებით გათვალისწინებული მდგრადობის ანგარიშების მოთხოვნები არ ეხებათ (იხილეთ ESRS 2 BP-2 – „კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება“).
71. **პოლიტიკებთან, ქმედებებსა და სამიზნე მაჩვენებლებთან** მიმართებაში, საწარმოს ანგარიშგებაში აღმავალი ან/და დაღმავალი **ღირებულებათა ჯაჭვის** ინფორმაცია იმდენად უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ პოლიტიკების, ქმედებებისა და სამიზნე მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია მისი **ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეების** მონაცემებს მოიცავდეს. **მდგრადობის მაჩვენებლებთან** მიმართებაში, უმეტესად, განსაკუთრებით იმ გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებით, რომელზეც სხვა მსგავსი მონაცემები ხელმისაწვდომია, საწარმოს საანგარიშგებო მოთხოვნების შესრულება შეუძლია მისი აღმავალი და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებისგან ინფორმაციის გამოთხოვის გარეშე, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისგან, მაგალითად, საწარმოს მე-3 კატეგორიის სათბურის აირების გაფრქვევების გამოთვლისას.
72. სექტორის საშუალო მაჩვენებლებისა და სხვა მსგავსი მონაცემების გამოყენებით გაკეთებული შეფასებებით მიღებული ინფორმაცია, არ უნდა იყოს ისეთი, რომელიც არ შეესაბამება ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს (იხილეთ წინამდებარე სტანდარტის მე-2 თავი და განყოფილება 7.2 – „შეფასების წყაროები და შედეგების განუსაზღვრელობა“).

6. დროის პერიოდები

6.1 საანგარიშგებო პერიოდი

73. საანგარიშგებო პერიოდი, რომლისთვისაც საწარმო **მდგრადობის ანგარიშგებას** ამზადებს, მისი ფინანსური ანგარიშგების პერიოდს უნდა შეესაბამებოდეს.

6.2 წარსულის, აწმყოსა და მომავლის კავშირი

74. საწარმომ, როდესაც ეს შესაფერისია, საკუთარ **მდგრადობის ანგარიშგებაში** უნდა აჩვენოს შესაბამისი კავშირები რეტროსპექტულ და საპროგნოზო ინფორმაციას შორის, რათა ცხადი გახდეს, თუ როგორ უკავშირდება გასული პერიოდის ინფორმაცია მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას.

6.3 პროგრესის წარდგენა საბაზისო წელთან მიმართებით

75. საბაზისო წელი არის გასული პერიოდის თარიღი ან წარსული პერიოდი, რომლის ინფორმაციაც ხელმისაწვდომია და რომელსაც უდარებენ შემდგომ ინფორმაციას, დროთა განმავლობაში.
76. სამიზნე მაჩვენებელთან მიმართებაში განვითარებისა და მიღწეული პროგრესის ანგარიშის მომზადებისას, საწარმომ მიმდინარე პერიოდში წარდგენილი თანხებისთვის უნდა წარმოადგინოს შესაძარისი ინფორმაცია საბაზისო წელთან მიმართებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც *გამჟღავნების* შესაბამისი *მოთხოვნა* უკვე განსაზღვრავს, პროგრესის წარდგენის პრინციპს. საწარმოს შეუძლია ასევე წარადგინოს ისტორიული ინფორმაცია საბაზისო წელსა და საანგარიშგებო პერიოდს შორის მიღწეული საეტაპო მიზნების შესახებ, თუ ეს ინფორმაცია შესაფერისია.

6.4 მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერიოდების განმარტება საანგარიშგებო მიზნებისთვის

77. მდგრადობის ანგარიშგების მომზადებისას, საწარმომ უნდა გამოიყენოს დროის შემდეგი ინტერვალები, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის:
- ა) მოკლევადიანი პერიოდი: საანგარიშგებო პერიოდი, რომლისთვისაც საწარმო ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს;
 - ბ) საშუალოვადიანი პერიოდი: ა) პუნქტით განსაზღვრული მოკლევადიანი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 5 წლამდე პერიოდი;
 - გ) გრძელვადიანი პერიოდი: 5 წელზე მეტი.
78. როდესაც *ზემოქმედების* ან *ქმედებების* განხორციელება მოსალოდნელია 5 წელზე მეტ ხნთან პერიოდში, საწარმომ გრძელვადიანი პერიოდი დამატებით უნდა დაეყოს ნაკლები ხანგრძლივობის პერიოდებად, თუ ეს *მდგრადობის ანგარიშგების* მომხმარებლებისთვის შესაფერისი ინფორმაციის მიწოდების მიზნებისთვის საჭიროა.
79. თუ სხვა ESRS სტანდარტებში კონკრეტული გასამჟღავნებელი ინფორმაციისთვის საშუალო ან გრძელვადიანი პერიოდების განსხვავებული განმარტებებია მოცემული, მაშინ იმ ESRS სტანდარტების განმარტებებს მიენიჭება უპირატესობა.
80. შეიძლება არსებობდეს ისეთი გარემოებები, როდესაც 77-ე პუნქტში განმარტებული საშუალო ან გრძელვადიანი პერიოდების მიხედვით წარმოდგენილი ინფორმაცია არ იყოს შესაფერისი, როდესაც საწარმო განსხვავებულად განსაზღვრავს (i) არსებითი *ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების* გამოვლენისა და მართვის პროცესებს ან (ii) მის *ქმედებებსა და სამიზნე მაჩვენებლებს*. ეს გარემოებები შეიძლება წარმოიქმნას სექტორისთვის სპეციფიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, როგორებიცაა ფულადი ნაკადები და ბიზნეს-ციკლები, კაპიტალის ინვესტირების მოსალოდნელი ხანგრძლივობა, დროის პერიოდები, რომელზე დაყრდნობითაც *მდგრადობის ანგარიშგების* მომხმარებლები შეფასებებს აკეთებენ ან დაგეგმვის პერიოდები, რომლებიც მოცემულ სექტორში გადაწყვეტილების მიღების მიზნით ჩვეულებრივ გამოიყენება. ასეთ შემთხვევებში, საწარმოს შეუძლია საშუალო ან/და გრძელვადიანი პერიოდების განსხვავებული განმარტებები გამოიყენოს (იხილეთ ESRS 2 BP-2, მე-9 პუნქტი).

81. ESRS სტანდარტებში გამოყენებული ტერმინები „მოკლევადიანი“, „საშუალოვადიანი“ და „გრძელვადიანი“ შეეხება დროის იმ პერიოდს, რომელსაც საწარმო 77 – 80 პუნქტების დებულებების შესაბამისად განსაზღვრავს.

7. მდგრადობის ინფორმაციის მომზადება და წარდგენა

82. ამ თავში მოცემულია ზოგადი მოთხოვნები, რომელიც მდგრადობის შესახებ ინფორმაციის მომზადებისა და წარდგენისას უნდა იქნეს გამოყენებული.

7.1 შესადარისი ინფორმაციის წარდგენა

83. საწარმომ მიმდინარე პერიოდში გამჟღავნებული *მდგრადობის* ყველა რაოდენობრივი *მაჩვენებლისა* და ფულადი თანხისთვის წინა პერიოდთან მიმართებით შესადარისი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს. როდესაც ეს მიმდინარე პერიოდის *მდგრადობის ანგარიშგებაზე* ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად არის საჭირო, საწარმომ შესადარისი ინფორმაცია ნარატიული სახით წარმოდგენილი ინფორმაციისთვისაც უნდა გაამჟღავნოს.

84. როდესაც საწარმო ისეთ შესადარის ინფორმაციას წარადგენს, რომელიც წინა პერიოდში წარდგენილი ინფორმაციისგან განსხვავდება, მან უნდა გაამჟღავნოს:

- ა) განსხვავება წინა პერიოდში წარდგენილ ციფრსა და შესწორებულ შესადარის ციფრს შორის; და
- ბ) ციფრის შესწორების მიზეზები.

85. მიმდინარე პერიოდთან შესადარისობის მიღწევის მიზნით წინა ერთი ან რამდენიმე პერიოდის შესადარისი ინფორმაციის კორექტირება ზოგ შემთხვევაში არაპრაქტიკულია. მაგალითად, შესაძლოა წინა პერიოდ(ებ)ის მონაცემები არ იყოს იმგვარად შეგროვებული, რომ იძლეოდეს მდგრადობის მაჩვენებლის ან სამიზნე მაჩვენებლის ახალი განმარტების რეტროსპექტული გამოყენების, ან წინა პერიოდის შეცდომის რეტროსპექტულად გადაანგარიშების საშუალებას, ასევე შესაძლოა ინფორმაციის აღდგენა არაპრაქტიკული იყოს (იხილეთ ESRS 2 BP-2). თუ წინა ერთი ან რამდენიმე პერიოდის შესადარისი ინფორმაციის კორექტირება შეუძლებელია ანუ არაპრაქტიკულია, საწარმომ ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს.

86. თუ რომელიმე ESRS სტანდარტი საწარმოს ავალდებულებს მდგრადობის მაჩვენებლისთვის ან მონაცემისთვის ერთზე მეტი შესადარისი პერიოდის ინფორმაცია წარადგინოს, უპირატესობა სწორედ იმ ESRS სტანდარტის მოთხოვნებს უნდა მიენიჭოს.

7.2 შეფასების წყაროები და შედეგების განუსაზღვრელობა

87. შეფასების განუსაზღვრელობა წარმოიქმნება, როდესაც შეუძლებელია *მდგრადობის* რაოდენობრივი *მაჩვენებლებისა* და ფულადი თანხების, მათ შორის აღმავალი და დაღმავალი *ღირებულებათა ჯაჭვის* ინფორმაციის (იხილეთ წინამდებარე სტანდარტის მე-5 თავი) პირდაპირ გაზომვა და შესაძლებელია მხოლოდ მათი შეფასება.

88. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რათა მომხმარებლებს ნათელი წარმოდგენა შეექმნათ იმ ყველაზე მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობების შესახებ, რომელიც საწარმოს

მიერ მდგრადობის ანგარიშგებაში წარდგენილ მდგრადობის რაოდენობრივ მაჩვენებლებსა და ფულად თანხებზე ახდენს გავლენას.

89. გონივრული დაშვებებისა და დასაბუთებული შეფასებების გამოყენება, მათ შორის *სცენარისა* და მგრძობელობის ანალიზი, მდგრადობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მომზადების არსებითი ნაწილია და არ აკნინებს ინფორმაციის სარგებლიანობას, თუკი ეს დაშვებები და შეფასებები ნათლად და სწორად არის აღწერილი და ახსნილი. შეფასების განუსაზღვრელობის მაღალი დონეც კი ყოველთვის ხელს არ უშლის იმას, რომ ამგვარი დაშვებით ან შეფასებით მივიღოთ სასარგებლო ინფორმაცია ან დაკმაყოფილდეს ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები (იხილეთ წინამდებარე სტანდარტის „ბ“ დანართი).

90. მდგრადობის ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მონაცემები და დაშვებები მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულ შესაბამის ფინანსურ მონაცემებსა და დაშვებებს.

91. ზოგიერთი ESRS სტანდარტი ისეთი ინფორმაციის გამჟღავნებას მოითხოვს, როგორცაა განუსაზღვრელი შედეგების მქონე შესაძლო მომავალი მოვლენების ახსნა-განმარტებები. იმის განსჯისას, ასეთი შესაძლო სამომავლო მოვლენის შესახებ ინფორმაცია არის თუ არა არსებითი, საწარმომ წინამდებარე სტანდარტის მე-3 თავში მოცემული კრიტერიუმები უნდა გამოიყენოს და განიხილოს:

- ა) მოვლენების პოტენციური *ფინანსური შედეგები* (სხვა ტიპის შესაძლო შედეგები);
- ბ) ადამიანებზე ან გარემოზე ზემოქმედების სერიოზულობა და ალბათობა, რომელიც გამოწვეულია შესაძლო მოვლენებით, 45-ე პუნქტში მითითებული სერიოზულობის ფაქტორების გათვალისწინებით; და
- გ) შესაძლო შედეგების სრული დიაპაზონი და შესაძლო შედეგების ალბათობა ამ დიაპაზონში.

92. შესაძლო შედეგების შეფასებისას, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ყველა შესაფერისი ფაქტი და გარემოება, მათ შორის ინფორმაცია დაბალი ალბათობისა და მაღალი ზემოქმედების მქონე შედეგების შესახებ, რომელიც, აგრეგირების შედეგად, შეიძლება არსებითი გახდეს. მაგალითად, საწარმო შეიძლება იდგეს რამდენიმე ზემოქმედების ან რისკის წინაშე, რომელთაგან თითოეულმა შეიძლება ერთი და იგივე ტიპის შეფერხება გამოიწვიოს, როგორცაა შეფერხებები საწარმოს *მიწოდების ჯაჭვში*. ინფორმაცია რისკის ცალკეული წყაროს შესახებ შეიძლება არ იყოს არსებითი, თუ ამ წყაროდან შეფერხება ნაკლებად სავარაუდოა. თუმცა, ინფორმაცია *მიწოდების ჯაჭვში* სხვადასხვა წყაროდან მომდინარე შეფერხების აგრეგირებული რისკის შესახებ შეიძლება არსებითი იყოს (იხილეთ ESRS 2 BP-2).

7.3 საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მომხდარი მოვლენების შესახებ განმარტებითი შენიშვნების განახლება

93. ზოგიერთ შემთხვევაში, საწარმომ შეიძლება ინფორმაცია მიიღოს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, მაგრამ მანამ, სანამ მმართველობის ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდება. თუ ასეთი ინფორმაცია იძლევა მტკიცებულებებს ან ქმნის საფუძვლიან წარმოდგენას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის შესახებ, საწარმომ, როდესაც

ეს შესაფერისია, ახალი ინფორმაციის საფუძველზე უნდა განახლოს შეფასებები და მდგრადობასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები.

94. როდესაც ასეთი ინფორმაცია იძლევა მტკიცებულებებს ან ქმნის საფუძვლიან წარმოდგენას საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ განხორციელებული არსებითი ტრანზაქციების, სხვა მოვლენებისა და პირობების შესახებ, საწარმომ, როდესაც ეს შესაფერისია, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მომხდარი ასეთი მოვლენების არსებობის, მათი ბუნებისა და შესაძლო შედეგების შესახებ ნარატიული აღწერილობა უნდა წარმოადგინოს.

7.4 ცვლილებები მდგრადობის შესახებ ინფორმაციის მომზადებაში ან წარდგენაში

95. *მდგრადობის მაჩვენებლების* განსაზღვრა და გამოთვლა, მათ შორის მდგრადობის იმ მაჩვენებლებისა, რომელიც *სამიზნე მაჩვენებლების* დაწესებისა და მათი შესრულების პროგრესის მონიტორინგისთვის გამოიყენება, ხანგრძლივი დროის განმავლობაში თანმიმდევრული უნდა იყოს. საწარმომ უნდა წარმოადგინოს ხელახლა გადაანგარიშებული შესადარისი ციფრები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის გაკეთება არაპრაქტიკულია (იხილეთ ESRS 2 BP-2), იმ შემთხვევაში, თუ მან:

- ა) ხელახლა განსაზღვრა ან შეცვალა მდგრადობის რომელიმე მაჩვენებელი ან სამიზნე მაჩვენებელი;
- ბ) წინა პერიოდში შეფასებულ და გამჟღავნებულ ციფრებთან დაკავშირებით ახალი ინფორმაცია გამოავლინა და ეს ახალი ინფორმაცია ისეთი გარემოებების შესახებ იძლევა მტკიცებულებას, რომელიც იმ პერიოდში არსებობდა.

7.5 წინა პერიოდების შეცდომების წარდგენა

96. საწარმომ წინა პერიოდის არსებითი შეცდომები უნდა შეასწოროს წინა პერიოდ(ებ)ში გამჟღავნებული შესადარისი მონაცემების ხელახლა გადაანგარიშებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის გაკეთება არაპრაქტიკულია. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საწარმოს მიერ ESRS სტანდარტების გამოყენების პირველი საანგარიშგებო წლის წინა პერიოდებზე.

97. წინა პერიოდის შეცდომები არის საწარმოს *მდგრადობის ანგარიშგებაში* დაშვებული უზუსტობა ან ელემენტების გამოტოვება, წარმოქმნილი ერთი ან რამდენიმე პერიოდის წინ იმის გამო, რომ ვერ იქნა ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც:

- ა) ხელმისაწვდომი იყო, როცა მმართველობის ანგარიშგება, რომელიც ამ პერიოდების მდგრადობის ანგარიშგებას მოიცავს, ავტორიზებული იყო გამოსაცემად; და
- ბ) გონივრულად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა მდგრადობის შესახებ აღნიშნულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნების მომზადების დროს.

98. ასეთ შეცდომებს მიეკუთვნება მათემატიკური შეცდომების შედეგები, *მდგრადობის მაჩვენებლებისა* და *სამიზნე მაჩვენებლების* განმარტებების გამოყენებისას დაშვებული

შეცდომები, ფაქტების უყურადღებოდ დატოვების ან არასწორი ინტერპრეტაციის შემთხვევები და თაღლითობის შემთხვევები.

99. მიმდინარე პერიოდის პოტენციური შეცდომები, რომლებიც ამ პერიოდში გამოვლინდა, უნდა შესწორდეს მმართველობის ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე. თუმცა, ზოგჯერ არსებითი შეცდომები მხოლოდ შემდგომ პერიოდში ვლინდება.
100. როდესაც არაპრაქტიკულია შეცდომის შედეგის განსაზღვრა წარდგენილი ყველა წინა პერიოდისთვის, საწარმომ, შეცდომის გასწორების მიზნით, შესაძარისი ინფორმაცია უნდა გადაიანგარიშოს პირველივე პრაქტიკულად შესაძლებელი თარიღიდან. წინა პერიოდისთვის გამჟღავნებული ინფორმაციის შესწორებისას, საწარმომ არ უნდა გამოიყენოს რეტროსპექტული ხედვა არც წინა პერიოდში ხელმძღვანელობის განზრახვის შესახებ დაშვებების გაკეთებისას და არც წინა პერიოდში გამჟღავნებული მონაცემების შეფასებისას. ეს მოთხოვნა ეხება როგორც წარსული პერიოდის, ისე საპროგნოზო ინფორმაციის შესწორების წესს.
101. შეცდომის გასწორება განსხვავდება შეფასებების ცვლილებებისაგან. თუ დამატებითი ინფორმაცია გახდება ცნობილი, შეიძლება საჭირო გახდეს შეფასების გადახედვა (იხილეთ ESR 2 BP-2).

7.6 კონსოლიდირებული ანგარიშგება და განთავისუფლება შვილობილი საწარმოებისთვის

102. როდესაც საწარმო ანგარიშგებას ამზადებს კონსოლიდირებულად, მან საკუთარი არსებითი **ზემოქმედება, რისკები** და **შესაძლებლობები** უნდა შეაფასოს მთელი კონსოლიდირებული ჯგუფისთვის, ამ ჯგუფის ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტრუქტურის მიუხედავად. საწარმომ უნდა უზრუნველყოს ყველა მისი შვილობილი საწარმოს ინფორმაციის ასახვა ისე, რომ შესაძლებელი იყოს არსებითი ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების მიუკერძოებელი გამოვლენა. ზემოქმედების, რისკის ან შესაძლებლობის არსებითობის კრიტერიუმები და ზღვრები უნდა განისაზღვროს წინამდებარე სტანდარტის მე-3 თავის შესაბამისად.
103. როდესაც საწარმო მნიშვნელოვან განსხვავებებს გამოავლენს ჯგუფის დონეზე არსებულ არსებით **ზემოქმედებას, რისკებს** ან **შესაძლებლობებს** და მისი ერთი ან რამდენიმე შვილობილი საწარმოს არსებით ზემოქმედებას, რისკებს ან შესაძლებლობებს შორის, მან, საჭიროებისამებრ, უნდა წარმოადგინოს მოცემული შვილობილი საწარმოს ან შვილობილი საწარმოების ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების ადეკვატური აღწერა.
104. როდესაც საწარმო აფასებს, მნიშვნელოვანია თუ არა ჯგუფის დონეზე არსებულ არსებით **ზემოქმედებას, რისკებს** ან **შესაძლებლობებს** და მისი ერთი ან რამდენიმე შვილობილი საწარმოს არსებით ზემოქმედებას, რისკებს ან შესაძლებლობებს შორის არსებული განსხვავებები, მან შეიძლება გაითვალისწინოს განსხვავებული გარემოებები, მაგალითად, ფუნქციონირებენ თუ არა შვილობილი საწარმო ან შვილობილი საწარმოები ჯგუფის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებულ სექტორში, ან გარემოებები, რომლებიც ასახულია 3.7 განყოფილებაში - „**დეზაგრეგირების დონე**“.

7.7 საიდუმლო და სენსიტიური ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების, ნოუ-ჰაუს ან ინოვაციის შედეგების შესახებ

105. საწარმო არ არის ვალდებული გაამჟღავნოს **საიდუმლო** ან **სენსიტიური ინფორმაცია**, მაშინაც კი, თუ ასეთი ინფორმაცია არსებითად ითვლება.

106. როდესაც საწარმო ამჟღავნებს ინფორმაციას საკუთარი *სტრატეგიის, გეგმებისა და ქმედებების* შესახებ, იმის მიუხედავად, რომ ამ ინფორმაციის კონკრეტული ნაწილი, რომელიც ინტელექტუალურ საკუთრებას, ნოუ-ჰაუს ან ინოვაციის შედეგებს შეეხება და რელევანტურია *გამჟღავნების მოთხოვნების* მიზნების დასაკმაყოფილებლად, საწარმოს მანინგ შეუძლია ეს ინფორმაცია გამოტოვოს, თუ:

- ა) იგი წარმოადგენს საიდუმლოს, იმ გაგებით, რომ ის, მთლიანად ან მისი კომპონენტების კონკრეტული კონფიგურაცია ან წყობა, არ არის ზოგადად ცნობილი ან ადვილად ხელმისაწვდომი იმ პირთა წრისთვის, რომელსაც ჩვეულებრივ ამ ტიპის ინფორმაციასთან აქვს შეხება;
- ბ) მას აქვს კომერციული ღირებულება, იმიტომ, რომ იგი საიდუმლოს წარმოადგენს; და
- გ) საწარმოს გადადგმული აქვს გონივრული ნაბიჯები, მისი საიდუმლოების შესანარჩუნებლად.

107. თუ საწარმო, წინა პუნქტში მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად, გამოტოვებს *საიდუმლო* ან *სენსიტიურ ინფორმაციას* ან ინფორმაციის კონკრეტულ ნაწილს, რომელიც შეეხება ინტელექტუალურ საკუთრებას, ნოუ-ჰაუს ან ინოვაციის შედეგებს, მან აღნიშნული გამჟღავნების მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, ყველა სხვა საჭირო ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს.

108. საწარმომ გონივრულობის ფარგლებში ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ *საიდუმლო* ან *სენსიტიური ინფორმაციის* ან ინფორმაციის ისეთი კონკრეტული ნაწილის გამოტოვების გარდა, რომელიც შეეხება ინტელექტუალურ საკუთრებას, ნოუ-ჰაუს ან ინოვაციის შედეგებს, საერთო ჯამში ამ საკითხთან დაკავშირებით გამჟღავნებული ინფორმაციის რელევანტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგეს.

7.8 შესაძლებლობების წარდგენა

109. *შესაძლებლობების* შესახებ ინფორმაციის წარდგენისას, გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ისეთ აღწერილობით ინფორმაციას, რომელიც მკითხველს ნათელ წარმოადგენას შეუქმნის საწარმოს ან მთელი სექტორის წინაშე არსებული შესაძლებლობების შესახებ. შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის წარდგენისას, საწარმომ გასამჟღავნებელი ინფორმაციის *არსებითობა* უნდა გაითვალისწინოს. ამ კონტექსტში, სხვა ფაქტორებთან ერთად, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს:

- ა) ხდება თუ არა ამჟამად შესაძლებლობისკენ სწრაფვა და არის თუ არა იგი ჩართული საწარმოს ზოგად სტრატეგიაში, საწარმოს ან სექტორის ზოგადი შესაძლებლობისგან განსხვავებით; და
- ბ) მიზანშეწონილია თუ არა *მოსალოდნელი ფინანსური შედეგების* რაოდენობრივი საზომების ჩართვა, მისთვის საჭირო დაშვებების რაოდენობისა და შემდგომი განუსაზღვრელობის გათვალისწინებით.

8. მდგრადობის ანგარიშგების სტრუქტურა

110. წინამდებარე თავში მოცემულია საწარმოს მმართველობის ანგარიშგებაში *მდგრადობის საკითხებთან* დაკავშირებით 2013/34/EU დირექტივის 19a და 29a მუხლების შესაბამისად მომზადებული ინფორმაციის (ე.ი. *მდგრადობის ანგარიშგების*) წარდგენის საფუძველი. ასეთი ინფორმაცია წარმოდგენილია მმართველობის ანგარიშგებაში, სპეციალურად გამოყოფილი ნაწილის სახით და ეწოდება მდგრადობის ანგარიშგება. წინამდებარე სტანდარტის „ვ“ დანართში - „*ESRS სტანდარტის შესაბამისად მომზადებული მდგრადობის ანგარიშგების სტრუქტურის მაგალითი*“ - ამ თავის მოთხოვნების შესაბამისად სტრუქტურირებული მდგრადობის ანგარიშგების საილუსტრაციო მაგალითია მოცემული.

8.1. წარდგენის ზოგადი მოთხოვნები

111. მდგრადობის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი:

- ა) ისე, რომ შესაძლებელი იყოს ESRS სტანდარტის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაციისა და მმართველობის ანგარიშგებაში შეტანილი სხვა ინფორმაციის ერთმანეთისგან გამიჯვნა; და
- ბ) იმგვარი სტრუქტურით, რომ *მდგრადობის ანგარიშგება* იყოს მარტივად გასაგები და შესაძლებელი იყოს მასზე მარტივად წვდომა, როგორც ადამიანის მიერ, ისე მანქანური წაკითხვისთვის შესაბამის ფორმატში.

8.2 მდგრადობის ანგარიშგების შინაარსი და სტრუქტურა

112. საწარმომ ESRS სტანდარტების მოთხოვნებით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს წინამდებარე სტანდარტის 1-ელი თავის შესაბამისად, მმართველობის ანგარიშგებაში მდგრადობის ანგარიშგებისთვის სპეციალურად გამოყოფილ ნაწილში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლებელია ინფორმაციის ჩართვა სხვა დოკუმენტებზე მითითებით წინამდებარე სტანდარტის 9.1 განყოფილების - „*ინფორმაციის ჩართვა სხვა დოკუმენტებზე მითითებით*“ - შესაბამისად.

113. საწარმოს ევალება *მდგრადობის ანგარიშგებაში* გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც აკმაყოფილებს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2020/852 რეგულაციის მე-8 მუხლისა⁸ და კომისიის დელეგირებული რეგულაციების მოთხოვნებს, რომელიც გასამჟღავნებელი ინფორმაციის შინაარსსა და მეთოდებს განსაზღვრავს. საწარმო უნდა დარწმუნდეს, რომ მდგრადობის ანგარიშგებაში ამ ინფორმაციის განცალკევებით იდენტიფიცირება არის შესაძლებელი. *ტაქსონომიის რეგულაციაში* განსაზღვრულ თითოეულ გარემოსდაცვით მიზანთან დაკავშირებული ყველანაირი ინფორმაცია ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი მდგრადობის ანგარიშგების გარემოსდაცვითი საკითხების განყოფილების მკაფიოდ იდენტიფიცირებად ნაწილში. აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნების საკითხი არ შედის ESRS სტანდარტების დებულებების მოქმედების ფარგლებში, გარდა ამ პუნქტისა და ამავე სტანდარტის 115-ე პუნქტის პირველი წინადადებისა.

⁸ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2020 წლის 18 ივნისის რეგულაცია (EU) 2020/852 - Regulation (EU) 2020/852 of the European Parliament and of the Council of 18 June 2020 on the establishment of a framework to facilitate sustainable investment, and amending Regulation (EU) 2019/2088 (OJ L 198, 22.6.2020, p. 13).

114. როდესაც საწარმო თავის მდგრადობის ანგარიშგებაში ამჟღავნებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მომდინარეობს (i) სხვა კანონმდებლობიდან, რომელიც საწარმოს მდგრადობის ინფორმაციის გამჟღავნებას ავალდებულებს ან (ii) მდგრადობის ანგარიშგების ზოგადად მიღებული სტანდარტებიდან და ჩარჩო დოკუმენტებიდან, მათ შორის არასავალდებულო მითითებებიდან და სექტორისთვის სპეციფიკური სახელმძღვანელო მითითებებიდან, რომელიც გამოქვეყნებულია სტანდარტების დამდგენი სხვა ორგანოების მიერ (როგორცაა, მაგალითად, მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა და გლობალური ანგარიშგების ინიციატივის მიერ გამოცემული ტექნიკური მასალები), ეს ინფორმაცია უნდა:

- ა) იყოს ნათლად იდენტიფიცირებადი, დაკავშირებულ კანონმდებლობაზე, სტანდარტზე ან ჩარჩო დოკუმენტზე შესაბამისი მითითებით (იხილეთ ESRS 2, BP-2, მე-15 პუნქტი);
- ბ) აკმაყოფილებდეს წინამდებარე სტანდარტის მე-2 თავში და „ბ“ დანართში მითითებულ ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლების მოთხოვნებს.

115. საწარმომ საკუთარ *მდგრადობის ანგარიშგებაში* ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს ოთხ ნაწილად, შემდეგი თანმიმდევრობით: ზოგადი ინფორმაცია, გარემოსდაცვითი ინფორმაცია (მათ შორის (EU) 2020/852 რეგულაციის მე-8 მუხლის შესაბამისად გასამჟღავნებელი ინფორმაცია), სოციალური ინფორმაცია და მმართველობის ინფორმაცია. წინამდებარე სტანდარტის 3.6 განყოფილების დებულების გათვალისწინებით, როდესაც ერთ-ერთ ნაწილში წარდგენილი ინფორმაცია შეიცავს სხვა ნაწილში წარსადგენ ინფორმაციას, საწარმოს, დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, შეუძლია აღარ გაიმეოროს ინფორმაცია და გააკეთოს მითითება უკვე წარდგენილ ინფორმაციაზე. საწარმოს შეუძლია გამოიყენოს დეტალური სტრუქტურის მაგალითი, რომელიც ილუსტრირებულია წინამდებარე სტანდარტის „ვ“ დანართში.

116. ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც მოითხოვება სექტორული ESRS სტანდარტებით, უნდა დაჯგუფდეს საანგარიშგებო სფეროს მიხედვით და, საჭიროების შემთხვევაში, მდგრადობის თემების მიხედვით. ისინი წარმოადგენილი უნდა იყოს ESRS 2-ისა და შესაბამისი თემატური ESRS სტანდარტის შესაბამისად გამჟღავნებულ ინფორმაციასთან ერთად.

117. როდესაც საწარმო, მე-11 პუნქტის შესაბამისად, დაადგენს, რომ უნდა გამჟღავნოს სექტორისთვის სპეციფიკური არსებითი ინფორმაცია, მან ეს ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს ისეთ ყველაზე შესაფერის ინფორმაციასთან ერთად, რომელიც შეიძლება იყოს როგორც სექტორისთვის სპეციფიკური, ისე შეეხებოდეს ყველა საწარმოს, იმისდა მიუხედავად თუ რომელ სექტორში ოპერირებს იგი.

9. კავშირი კორპორაციული ანგარიშგების სხვა ნაწილებთან და დაკავშირებული ინფორმაცია

118. საწარმომ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ისე, რომ მისი *მდგრადობის ანგარიშგების* მომხმარებლები მკაფიოდ ხედავდნენ კავშირებს ანგარიშგებაში წარმოადგენილი ინფორმაციის სხვადასხვა ნაწილებს შორის, ასევე კავშირებს მდგრადობის ანგარიშგებაში წარმოადგენილ ინფორმაციასა და საწარმოს კორპორაციული ანგარიშგების სხვა ნაწილებში გამჟღავნებულ ინფორმაციას შორის.

9.1 ინფორმაციის ჩართვა სხვა დოკუმენტებზე მითითებით

119. იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია 120-ე პუნქტით გათვალისწინებული პირობები, ESRS სტანდარტის *გამჟღავნების მოთხოვნებით*, მათ შორის, *გამჟღავნების მოთხოვნების კონკრეტული ქვეპუნქტებით*, დადგენილი ინფორმაცია, შეიძლება ჩართული იქნას *მდგრადობის ანგარიშგებაში* შემდეგ დოკუმენტებზე მითითებით:

- ა) მმართველობის ანგარიშგების სხვა განყოფილება;
- ბ) ფინანსური ანგარიშგება;
- გ) კორპორაციული მმართველობის ანგარიშგება (თუ იგი არ წარმოადგენს მმართველობის ანგარიშგების ნაწილს);
- დ) ანაზღაურების ანგარიში, რომელიც მოითხოვება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007/36/EC დირექტივით⁹;
- ე) რეგისტრაციის უნივერსალური დოკუმენტი, როგორც ეს გათვალისწინებულია (EU) 2017/1129 რეგულაციის მე-9 მუხლით¹⁰; და
- ვ) ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) No 575/2013 რეგულაციის გათვალისწინებით საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაცია (პილარ 3-ის ფარგლებში გამოქვეყნებული ინფორმაცია)¹¹. თუ საწარმო ანგარიშგებაში ჩართავს ინფორმაციას პილარ 3-ის ფარგლებში გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე მითითებით, იგი უნდა დარწმუნდეს, რომ ეს ინფორმაცია შეესაბამება *მდგრადობის ანგარიშგებაში* გამოყენებული კონსოლიდირების დონეს, საჭიროების შემთხვევაში, ჩართული ინფორმაციის დამატებითი ელემენტებით შევსების გზით.

120. საწარმოს შეუძლია ანგარიშგებაში ჩართოს ინფორმაცია 119-ე პუნქტში ჩამოთვლილ დოკუმენტებზე ან ამ დოკუმენტების ნაწილებზე მითითებით, იმ პირობით, რომ მითითებით ჩართული ინფორმაცია:

- ა) წარმოადგენს ინფორმაციის ცალკეულ ელემენტს და ნათლად არის იდენტიფიცირებული შესაბამის დოკუმენტში, როგორც ეს გათვალისწინებულია შესაბამის *გამჟღავნების მოთხოვნაში* ან *გამჟღავნების მოთხოვნის კონკრეტულ ქვეპუნქტში*;
- ბ) გამოქვეყნებულია მმართველობის ანგარიშგების გამოქვეყნებამდე ან მასთან ერთად;

⁹ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007 წლის 11 ივლისის დირექტივა 2007/36/EC - Directive 2007/36/EC of the European Parliament and of the Council of 11 July 2007 on the exercise of certain rights of shareholders in listed companies (OJ L 184, 14.7.2007, p. 17).

¹⁰ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 14 ივნისის რეგულაცია (EU) 2017/1129 - Regulation (EU) 2017/1129 of the European Parliament and of the Council of 14 June 2017 on the prospectus to be published when securities are offered to the public or admitted to trading on a regulated market, and repealing Directive 2003/71/EC (OJ L 168, 30.6.2017, p. 12).

¹¹ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის რეგულაცია (EU) No 575/2013 - Regulation (EU) No 575/2013 of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 on prudential requirements for credit institutions and investment firms and amending Regulation (EU) No 648/2012 (OJ L 176, 27.6.2013, p. 1).

- გ) მომზადებულია იმავე ენაზე, რაზეც მდგრადობის ანგარიშგება;
- დ) ექვემდებარება მინიმუმ იმავე დონის რწმუნებას, რასაც მდგრადობის ანგარიშგება; და
- ე) აკმაყოფილებს ტექნიკური გაციფრულების იმავე მოთხოვნებს, რასაც მდგრადობის ანგარიშგება.

121. იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია 120-ე პუნქტით გათვალისწინებული პირობები, ESRS სტანდარტის *გამჟღავნების მოთხოვნებით*, მათ შორის, *გამჟღავნების მოთხოვნების კონკრეტული ქვეპუნქტებით*, დადგენილი ინფორმაცია, შეიძლება ჩართული იქნას **მდგრადობის ანგარიშგებაში** საწარმოს მიერ ევროკავშირის ეკო-მენეჯმენტისა და აუდიტის სქემის შესახებ (EU) No 1221/2009 რეგულაციის¹² შესაბამისად მომზადებულ ანგარიშზე მითითებით. ამ შემთხვევაში, საწარმო უნდა დარწმუნდეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტზე მითითებით ჩართული ინფორმაცია მომზადებულია ESRS სტანდარტების მოთხოვნებით გათვალისწინებული ინფორმაციის მომზადების იმავე საფუძვლის, მათ შორის, **ღირებულებათა ჯაჭვის** ინფორმაციის მსგავსი მიდგომისა და კონსოლიდაციის იმავე მასშტაბის გამოყენებით.

122. როდესაც საწარმო **მდგრადობის ანგარიშგების** მომზადებისას მასში ჩართავს ინფორმაციას სხვა დოკუმენტებზე მითითებით, მან უნდა გაითვალისწინოს წარდგენილი ინფორმაციის საერთო თანმიმდევრულობა და უნდა დარწმუნდეს, რომ ინფორმაციის ჩართვა სხვა დოკუმენტებზე მითითებით არ ართულებს მდგრადობის ანგარიშგების წაკითხვას. წინამდებარე სტანდარტის „ზ“ დანართში - „*ინფორმაციის ჩართვა სხვა დოკუმენტებზე მითითებით - საილუსტრაციო მაგალითი*“ - მოცემულია ანგარიშგებაში ინფორმაციის სხვა დოკუმენტზე მითითების სახით ჩართვის საილუსტრაციო მაგალითი (იხილეთ ESRS 2 BP-2).

9.2 დაკავშირებული ინფორმაცია და კავშირი ფინანსურ ანგარიშგებასთან

123. საწარმომ უნდა აჩვენოს ინფორმაციის სხვადასხვა ნაწილებს შორის კავშირები. ამისთვის შესაძლოა საჭირო გახდეს მმართველობის, სტრატეგიისა და რისკების მართვის შესახებ ნარატიული სახით წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამის **მდგრადობის მაჩვენებლებთან** და **სამიზნე მაჩვენებლებთან** დაკავშირება. მაგალითად, დაკავშირებული ინფორმაციის წარმოდგენისას, საწარმოს შეიძლება დასჭირდეს იმის ახსნა თუ რა გავლენა, ან შესაძლო გავლენა, აქვს მის სტრატეგიას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე ან ფინანსურ გეგმებზე, ან როგორ უკავშირდება მისი სტრატეგია საქმიანობის შედეგების პროგრესის შესაფასებლად გამოყენებულ მდგრადობის მაჩვენებლებსა და სამიზნე მაჩვენებლებს. გარდა ამისა, საწარმოს შეიძლება დასჭირდეს იმის ახსნა, თუ როგორ შეიძლება მის მიერ **ბუნებრივი რესურსების** გამოყენებამ და **მიწოდების ჯაჭვში** ცვლილებებმა გააძლიეროს, შეცვალოს ან შეამციროს საწარმოს არსებითი **ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები**. მას შეიძლება დასჭირდეს ამ ინფორმაციის ისეთ ინფორმაციასთან დაკავშირება, რომელიც შეეხება მიმდინარე ან მოსალოდნელ ფინანსურ შედეგებს მის წარმოების ხარჯებზე, ამ ზემოქმედების ან რისკების შესამსუბუქებლად მის მიერ განხორციელებულ სტრატეგიულ პასუხს და საწარმოს დაკავშირებულ ინვესტიციებს ახალ აქტივებში. საწარმოს შეიძლება ასევე დასჭირდეს ნარატიული სახით წარმოდგენილი ინფორმაციის დაკავშირება

¹² ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 25 ნოემბრის რეგულაცია (EC) No 1221/2009 - Regulation (EC) No 1221/2009 of the European Parliament and of the Council of 25 November 2009 on the voluntary participation by organisations in a Community eco-management and audit scheme (EMAS), repealing Regulation (EC) No 761/2001 and Commission Decisions 2001/681/EC and 2006/193/EC (OJ L 342, 22.12.2009, p. 1).

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შესაბამის მდგრადობის მაჩვენებლებთან, სამიზნე მაჩვენებლებთან და სხვა ტიპის ინფორმაციასთან. ინფორმაცია, რომელიც ამგვარ კავშირებს აღწერს, უნდა იყოს ნათელი და ლაკონური.

124. როდესაც **მდგრადობის ანგარიშგება** მოიცავს ფულად თანხებს ან სხვა რაოდენობრივ მონაცემებს, რომლებიც სცდება **არსებითობის** ზღვარს და რომლებიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში (პირდაპირი კავშირია მდგრადობის ანგარიშგებასა და ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებულ ინფორმაციას შორის), საწარმომ უნდა მიუთითოს ფინანსური ანგარიშგების იმ პუნქტზე, სადაც ამ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია.
125. **მდგრადობის ანგარიშგება** შეიძლება მოიცავდეს ფულად თანხებს ან სხვა რაოდენობრივ მონაცემებს, რომლებიც სცდება **არსებითობის** ზღვარს და რომლებიც წარმოადგენს საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ფულადი თანხების ან რაოდენობრივი მონაცემების აგრეგირებას ან მის ნაწილს (არაპირდაპირი კავშირია მდგრადობის ანგარიშგებასა და ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებულ ინფორმაციას შორის). ასეთ შემთხვევაში, საწარმომ უნდა განმარტოს, მდგრადობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ეს თანხები და მონაცემები როგორ უკავშირდება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველაზე შესაბამის თანხებს. ასეთ განმარტებით ინფორმაციაში საწარმომ უნდა მიუთითოს ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლზე ან/და იმ პუნქტებზე, სადაც შესაძლებელია ამ ინფორმაციის მოძიება. საჭიროების შემთხვევაში, საწარმოს შეუძლია შემაჯერებელი ინფორმაციის წარმოდგენა და მას შეუძლია ეს ინფორმაცია წარმოადგინოს ცხრილის სახითაც.
126. თუ რაიმე სახის ინფორმაციას არ ფარავს 124-ე და 125-ე პუნქტები, საწარმომ, **არსებითობის** ზღვარზე დაყრდნობით, უნდა განმარტოს რამდენად თანმიმდევრულია **მდგრადობის ანგარიშგებაში** წარმოდგენილი მნიშვნელოვანი მონაცემები, დაშვებები და ხარისხობრივი ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შესაბამის მნიშვნელოვან მონაცემებთან, დაშვებებთან და ხარისხობრივ ინფორმაციასთან მიმართებით. ეს შეიძლება მოხდეს, როდესაც მდგრადობის ანგარიშგება მოიცავს:
- ა) ისეთ ფულად თანხებს ან სხვა რაოდენობრივ მონაცემებს, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ფულად თანხებთან ან სხვა რაოდენობრივ მონაცემებთან; ან
 - ბ) ისეთ ხარისხობრივ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ხარისხობრივ ინფორმაციასთან.
127. 126-ე პუნქტით გათვალისწინებული თანმიმდევრულობა უნდა განისაზღვროს ერთი მონაცემის დონეზე და უნდა მოიცავდეს მითითებას ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლზე ან შენიშვნების პუნქტზე. როდესაც მნიშვნელოვანი მონაცემები, დაშვებები და ხარისხობრივი ინფორმაცია არ არის თანმიმდევრული, საწარმომ უნდა დააფიქსიროს ეს ფაქტი და განმარტოს მიზეზი.
128. ქვემოთ მოცემულია იმ მუხლების მაგალითები, რომელთან დაკავშირებითაც საწარმოს 126-ე პუნქტით გათვალისწინებული განმარტების გაკეთება მოეთხოვება:
- ა) როდესაც მდგრადობის ერთი და იგივე მაჩვენებელი წარმოდგენილია მოცემული საანგარიშგებო პერიოდისთვის ფინანსურ ანგარიშგებაში და მომავალი პერიოდების მოკლევადიანი პროგნოზისთვის **მდგრადობის ანგარიშგებაში**; და
 - ბ) როდესაც **მდგრადობის ანგარიშგებაში** წარმოდგენილი **მდგრადობის მაჩვენებლების** გამოსათვლელად გამოიყენება მაკროეკონომიკური ან

ბიზნესსაქმიანობის გრძელვადიანი პროგნოზები, ასევე, როდესაც მათი გამოყენება ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების, ვალდებულებების ოდენობისა და ანარიცხების შესაფასებლად.

129. კონკრეტულ *გამჟღავნების მოთხოვნებთან* მიმართებაში, თემატური და სექტორისთვის სპეციფიკური ESRS სტანდარტები შეიძლება ისეთ მოთხოვნებს მოიცავდეს, რომლებიც შეეხება შეჯერების, ასევე მონაცემებისა და დაშვებების თანმიმდევრულობის წარმოდგენის საკითხებს. ასეთ შემთხვევებში, ამ ESRS სტანდარტების მოთხოვნებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

10 გარდამავალი დებულებები

10.1 საწარმოსათვის სპეციფიკურ განმარტებით შენიშვნებთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებები

130. მომავალში დამატებითი *გამჟღავნების მოთხოვნების* შემუშავებასთან ერთად, მოსალოდნელია, რომ ESRS სტანდარტებით *მდგრადობის საკითხების* დაფარვის საზღვრებიც გაიზარდება. შესაბამისად, საწარმოსთვის სპეციფიკური ინფორმაციის გამჟღავნების საჭიროება, სავარაუდოდ, დროთა განმავლობაში შემცირდება, კერძოდ, სექტორისთვის სპეციფიკური სტანდარტების თანდათანობით შემოღების შედეგად.

131. საწარმოსთვის სპეციფიკური გასამჟღავნებელი ინფორმაციის განსაზღვრისას, საწარმოს, პირველი სამი წლიური *მდგრადობის ანგარიშგების* მომზადებისას შეუძლია გამოიყენოს გარდამავალი შეფასებები, რომლის მიხედვითაც, მას შეუძლია, როგორც პრიორიტეტი:

- ა) თავის ანგარიშგებაში შეიტანოს საწარმოსთვის სპეციფიკური ის განმარტებითი შენიშვნები, რომელიც მან წინა პერიოდებში გაამჟღავნა, თუ იგი აკმაყოფილებს წინამდებარე სტანდარტის მე-2 თავში მითითებულ ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს, ან ადაპტირებულია მათთან; და
- ბ) თემატური ESRS სტანდარტების საფუძველზე გამჟღავნებული ინფორმაცია შეავსოს ისეთი შესაბამისი დამატებითი ინფორმაციით, რომელიც ფარავს სექტორული თვალსაზრისით საწარმოსთვის არსებით *მდგრადობის საკითხებს*. მას შეუძლია ამისთვის გამოიყენოს ხელმისაწვდომი საუკეთესო პრაქტიკა ან/და ხელმისაწვდომი ჩარჩო დოკუმენტები ან ანგარიშგების სტანდარტები, როგორებიცაა, მაგალითად, ფას სტანდარტებზე დაფუძნებული დარგობრივი სახელმძღვანელო მითითებები და გლობალური ანგარიშგების ინიციატივის სექტორული სტანდარტები (GRI Sector Standards).

10.2 მე-5 თავთან - „ღირებულებათა ჯაჭვი“ - დაკავშირებული გარდამავალი დებულებები

132. პირველი 3 წლის განმავლობაში ESRS სტანდარტების შესაბამისი მდგრადობის ანგარიშგების მომზადებისას, იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აღმავალ და დაღმავალ *ღირებულებათა ჯაჭვთან* დაკავშირებით ყველა საჭირო ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, საწარმომ უნდა ახსნას ის ძალისხმევა, რომელიც მან გასწია მის

აღმავალი და დადმავალი ღირებულებათა ჯაჭვის შესახებ საჭირო ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით; მიზეზები იმისა, თუ რატომ ვერ მოხერხდა ყველა საჭირო ინფორმაციის მოპოვება; და გეგმები, რომელსაც ის, საჭირო ინფორმაციის მოპოვების მიზნით, მომავალში განახორციელებს.

133. პირველი 3 წლის განმავლობაში ESRS სტანდარტების შესაბამისი მდგრადობის ანგარიშების მომზადებისას, იმისათვის, რომ გათვალისწინებულ იქნეს ის სირთულეები, რომლებსაც შეიძლება საწარმო ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებისგან ინფორმაციის შეგროვებისას წააწყდეს და იმისათვის, რომ ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილე მცირე და საშუალო საწარმოებს (მსს) ტვირთი შეუძვირდეთ:

- ა) ESRS 2-ისა და სხვა ESRS სტანდარტების შესაბამისად *პოლიტიკების, ქმედებებისა და სამიზნე მაჩვენებლების* შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმოს შეუძლია მისი აღმავალი და დადმავალი ღირებულებათა ჯაჭვის შესახებ მხოლოდ შიდა ინფორმაცია წარმოადგინოს, როგორცაა, მაგალითად, საწარმოსთვის უკვე ხელმისაწვდომი მონაცემები და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია; და
- ბ) *მდგრადობის მაჩვენებლების* შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმოს არ მოეთხოვება აღმავალი და დადმავალი ღირებულებათა ჯაჭვის ინფორმაციის წარმოდგენა, გარდა იმ ქვეპუნქტებით დადგენილი ინფორმაციისა, რომლებიც გამომდინარეობს ევროკავშირის სხვა კანონმდებლობიდან, როგორც ეს ჩამოთვლილია ESRS 2-ის „ბ“ დანართში.

134. 132-ე და 133-ე პუნქტები გამოიყენება ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა *ღირებულებათა ჯაჭვის* შესაბამისი *მონაწილე* მცირე ან საშუალო საწარმო (მსს).

135. ESRS სტანდარტების შესაბამისი მდგრადობის ანგარიშების მომზადების მე-4 წლიდან, საწარმომ აღმავალი ან/და დადმავალი ღირებულებათა ჯაჭვის ინფორმაცია 63-ე პუნქტის შესაბამისად უნდა წარმოადგინოს. ამ კონტექსტში, ESRS სტანდარტებით განსაზღვრული ინფორმაცია, რომელიც საწარმომ უნდა მოიპოვოს საკუთარი აღმავალი ან/და დადმავალი ღირებულებათა ჯაჭვის მცირე და საშუალო (მსს) საწარმოებისგან არ გადააჭარბებს საფონდო ბირჟაზე კოტირებული მსს საწარმოებისთვის მომავალი ESRS სტანდარტებით განსაზღვრულ ინფორმაციას.

136.

10.3 7.1 განყოფილებასთან - „შესადარისი ინფორმაციის წარდგენა“ - დაკავშირებული გარდამავალი დებულებები

137. წინამდებარე სტანდარტის პირველად გამოყენების გაადვილების მიზნით, ESRS სტანდარტების შესაბამისი *მდგრადობის ანგარიშების* მომზადების პირველ წელს საწარმოს არ მოეთხოვება 7.1 განყოფილებით - „შესადარისი ინფორმაციის წარდგენა“ - გათვალისწინებული შესადარისი ინფორმაციის გამჟღავნება. „გ“ დანართში - „*გარდამავალი ფაზის გამჟღავნების მოთხოვნების სია*“ - ჩამოთვლილ გამჟღავნების მოთხოვნებთან მიმართებაში, ეს გარდამავალი დებულება ვრცელდება გარდამავალი ფაზის გამჟღავნების მოთხოვნის სავალდებულო გამოყენების პირველ წელზე.

10.4 გარდამავალი დებულება: გარდამავალი ფაზის გამჟღავნების მოთხოვნების სია

138. წინამდებარე სტანდარტის „გ“ დანართში - „გარდამავალი ფაზის გამჟღავნების მოთხოვნების სია“ - განსაზღვრულია ESRS სტანდარტების გამჟღავნების მოთხოვნების გარდამავალი ფაზის დებულებები ან გამჟღავნების მოთხოვნების ის ქვეპუნქტები, რომელთა გამოტოვება შესაძლებელია ან არ გამოიყენება ESRS სტანდარტების შესაბამისი *მდგრადობის ანგარიშების* მომზადების პირველ წელს ან პირველ წლებში.

დანართი ა: გამოყენების მოთხოვნები

წინამდებარე დანართი ESRS 1-ის განუყოფელი ნაწილია და ისეთივე ძალა აქვს, რაც ამ სტანდარტის დანარჩენ ნაწილებს.

საწარმოსთვის სპეციფიკური განმარტებითი შენიშვნები

გმ 1. საწარმოსთვის სპეციფიკურმა განმარტებითმა შენიშვნებმა ნათელი წარმოდგენა უნდა შეუქმნას *მომხმარებელს* გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებთან დაკავშირებით საწარმოს *ზემოქმედებაზე, რისკებსა და შესაძლებლობებზე*.

გმ 2. საწარმოსთვის სპეციფიკური ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმო უნდა დარწმუნდეს, რომ:

- ა) გამჟღავნებული ინფორმაცია აკმაყოფილებს მე-2 თავში - „*ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები*“ - დადგენილ ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს;
- ბ) მის მიერ გამჟღავნებული ინფორმაცია, საჭიროებისამებრ, მოიცავს ყველა იმ არსებით ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება შემდეგ საანგარიშგებო სფეროებს: მმართველობა; სტრატეგია; *ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობების* მართვა; ასევე *მდგრადობის მაჩვენებლები* და *სამიზნე მაჩვენებლები* (იხილეთ ESRS 2-ის 2-დან 5-ის ჩათვლით თავები).

გმ 3. როდესაც საწარმო განსაზღვრავს საწარმოსთვის სპეციფიკურ განმარტებით შენიშვნებში *მდგრადობის მაჩვენებლების* ჩართვის სარგებლიანობას, მან უნდა გაითვალისწინოს:

- ა) მის მიერ შერჩეულ საქმიანობის შედეგების მდგრადობის მაჩვენებლებს შეაქვს თუ არა სიცხადე შემდეგ საკითხებში:
 - i) რამდენად ეფექტიანია მისი პრაქტიკა ადამიანებსა და გარემოზე უარყოფითი შედეგების შემცირების ან/და დადებითი შედეგების გაზრდის თვალსაზრისით (ზემოქმედების შემთხვევაში); ან/და
 - ii) როგორია ალბათობა იმისა, რომ მისი პრაქტიკა საწარმოსთვის *ფინანსური შედეგების* მომტანი იქნება (*რისკებისა და შესაძლებლობების* შემთხვევაში).
- ბ) საკმარისად საიმედოა თუ არა გაზომილი შედეგები, სადაც იგულისხმება, რომ მასში არ იქნება წარმოდგენილი ჭარბი ოდენობის დაშვებები და უცნობი სიდიდეები, რაც მდგრადობის მაჩვენებლებს იმდენად პირობითს გახდიდა, რომ იგი არ იქნებოდა ობიექტური წარდგენის პრინციპის შესაბამისი.
- გ) მოცემულია თუ არა საკმარისი კონტექსტური ინფორმაცია, რაც საჭიროა საქმიანობის შედეგების მდგრადობის მაჩვენებლების სათანადო ინტერპრეტაციისთვის და შეიძლება თუ არა ასეთ კონტექსტურ ინფორმაციაში წარმოდგენილმა სხვაობებმა გავლენა მოახდინოს მდგრადობის მაჩვენებლების შესადარისობაზე დროთა განმავლობაში.

გმ 4. საწარმოსთვის სპეციფიკური ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ გულდასმით უნდა განიხილოს:

- ა) საწარმოებს შორის შესადარისობა და ამასთანავე უზრუნველყოს წარმოდგენილი ინფორმაციის რელევანტურობა, იმის გათვალისწინებით, რომ შესადარისობის კრიტერიუმი შეიძლება ფარავდეს მხოლოდ საწარმოსთვის სპეციფიკურ ინფორმაციას. საწარმომ უნდა განიხილოს რამდენად არის მოცემული ხელმისაწვდომ და რელევანტურ ჩარჩო დოკუმენტებში, ინიციატივებში, ანგარიშგების სტანდარტებსა და საორიენტაციო დოკუმენტებში (როგორცაა, მაგალითად, მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა და გლობალური ანგარიშგების ინიციატივის მიერ გამოცემული ტექნიკური მასალები) ისეთი საფუძვლები, რაც შესადარისობას მაქსიმალურად უზრუნველყოფს.
- ბ) შესადარისობა დროთა განმავლობაში: მეთოდოლოგიებისა და გამჟღავნებული ინფორმაციის თანმიმდევრულობა დროთა განმავლობაში შესადარისობის მიღწევის ძირითადი ფაქტორია.

გმ 5. საწარმოსთვის სპეციფიკური ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით დამატებითი სახელმძღვანელო მითითებების მიღება შესაძლებელია *მდგრადობის* იმავე *საკითხებთან* დაკავშირებით თემატური ESRS სტანდარტებით დადგენილი ინფორმაციის საშუალებით.

ორმაგი არსებითობა

დაინტერესებული მხარეები და მათი რელევანტურობა არსებითობის შეფასებისას

გმ 6. 22-ე პუნქტში ჩამოთვლილი კატეგორიების გარდა, *დაინტერესებულ მხარეთა* საყოველთაოდ აღიარებული კატეგორიებია: *დასაქმებულები* და სხვა მომუშავეები, *მომწოდებლები*, *მომხმარებლები*, კლიენტები, *საბოლოო მომხმარებლები*, ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯგუფები და მოწყვლადი პირები, ასევე სახელმწიფო ორგანოები, მათ შორის მარეგულირებლები, საზედამხედველო ორგანოები და ცენტრალური ბანკები.

გმ 7. ბუნება შეიძლება ჩაითვალოს მდუმარე *დაინტერესებულ მხარედ*. ამ შემთხვევაში, ეკოლოგიური მონაცემები და მონაცემები სახეობების კონსერვაციის შესახებ შეიძლება დაეხმაროს საწარმოს *არსებითობის* შეფასებისას.

გმ 8. *არსებითობის* შეფასება ზემოქმედების ქვეშ მყოფ დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგის საფუძველზე ხდება. საწარმოს შეუძლია ჰქონდეს კონტაქტი ზემოქმედების ქვეშ მყოფ *დაინტერესებულ მხარეებთან* ან მათ წარმომადგენლებთან (როგორცაა, *დასაქმებულები* ან პროფკავშირები), ასევე მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებლებთან და სხვა ექსპერტებთან, რათა მიიღოს ინფორმაცია ან გამოხმაურება მის მიერ არსებით *ზემოქმედებაზე*, *რისკებსა* და *შესაძლებლობებზე* გაკეთებულ დასკვნებთან დაკავშირებით.

ზემოქმედების არსებითობის შეფასება

გმ 9. **ზემოქმედების არსებითობის** შეფასებისას, ასევე ისეთი არსებითი საკითხების განსაზღვრისას, რომელიც ანგარიშგებაში უნდა აისახოს, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს სამი ეტაპი, კერძოდ, მან უნდა:

- ა) შეიქმნას ნათელი წარმოდგენა მის მიერ განხორციელებული ზემოქმედების კონტექსტზე, მათ შორის მისი საქმიანობების, საქმიანი ურთიერთობებისა და **დაინტერესებული მხარეების** შესახებ;
- ბ) გამოავლინოს არსებული და პოტენციური ზემოქმედება (როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი), მათ შორის დაინტერესებული მხარეებისა და ექსპერტების ჩართულობის გზით. ამ ეტაპზე, საწარმომ შეუძლია გამოიყენოს **მდგრადობის საკითხებზე** ზემოქმედების შესახებ მომზადებული სამეცნიერო და ანალიტიკური კვლევები;
- გ) შეაფასოს მისი არსებული და პოტენციური ზემოქმედების არსებითობა და განსაზღვროს არსებითი საკითხები. ამ ეტაპზე, საწარმომ უნდა დაადგინოს ის ზღვარი, რის საფუძველზეც განსაზღვრავს თუ რომელ ზემოქმედებას ასახავს იგი საკუთარ **მდგრადობის ანგარიშგებაში**.

სერიოზულობის მახასიათებლები

გმ 10. სერიოზულობა განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით:

- ა) ხარისხი: რამდენად მძიმეა უარყოფითი ზემოქმედება ან რამდენად სარგებლიანია დადებითი ზემოქმედება ადამიანებისა და გარემოსთვის;
- ბ) მასშტაბი: რამდენად არის გავრცელებული დადებითი ან უარყოფითი ზემოქმედება. გარემოზე ზემოქმედების შემთხვევაში, მასშტაბი შეიძლება გავიგოთ, როგორც გარემოსთვის მიყენებული ზიანის მასშტაბი ან გეოგრაფიული პერიმეტრი. ადამიანებზე ზემოქმედების შემთხვევაში, მასშტაბი შეიძლება გავიგოთ, როგორც მავნე ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანების რაოდენობა; და
- გ) გამოსწორების შესაძლებლობა: შეიძლება თუ არა და რამდენად არის შესაძლებელი უარყოფითი ზემოქმედების გამოსწორება, ანუ - გარემოს ან ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანების საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

გმ 11. ამ სამი მახასიათებლიდან (ხარისხი, მასშტაბი და გამოსწორების შესაძლებლობა) ნებისმიერმა შეიძლება გაამწვავოს უარყოფითი ზემოქმედება. ადამიანის უფლებებზე პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების შემთხვევაში, ზემოქმედების ალბათობასთან შედარებით მის ხარისხს ენიჭება უპირატესობა.

ზემოქმედება, რომელიც საწარმოსთანაა დაკავშირებული

გმ 12. მაგალითად:

- ა) თუ საწარმო თავის პროდუქციაში იყენებს კობალტს, რომლის მოსაპოვებლად ბავშვთა შრომა გამოიყენება, უარყოფითი ზემოქმედება (ე.ი. ბავშვთა შრომა) საწარმოს პროდუქციასთან მისი აღმავალი ჯაჭვის **საქმიანი ურთიერთობების** გზით არის დაკავშირებული. ეს ურთიერთობები მოიცავს მადნის სადნობი ღუმელებითა და მინერალებით მოვაჭრეებს და სამთო საწარმოებს, რომლებიც ბავშვთა შრომას იყენებენ; და
- ბ) თუ საწარმო სხვა საწარმოზე გასცემს სესხს ბიზნესსაქმიანობის განხორციელების მიზნით, რომელიც, შეთანხმებული სტანდარტების დარღვევით, იწვევს ოპერაციების განხორციელების ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული წყლისა და მიწის დაბინძურებას, უარყოფითი ზემოქმედება საწარმოსთან დაკავშირებულია იმ საწარმოსთან ურთიერთობით, რომელსაც იგი სესხს აძლევს.

ფინანსური არსებობის შეფასება

გმ 13. ქვემოთ წარმოდგენილია მაგალითები იმისა, თუ როგორ შეიძლება იყოს ზემოქმედება და დამოკიდებულება რისკების ან შესაძლებლობების წყარო:

- ა) როდესაც საწარმოს **ბიზნესმოდელი** დამოკიდებულია ბუნებრივ რესურსზე - მაგალითად, წყალზე - სავარაუდოდ, მასზე, ამ რესურსის ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და ფასის ცვლილება ზეგავლენას მოახდენს;
- ბ) როდესაც საწარმოს ქმედებები იწვევს უარყოფით ზემოქმედებას, მაგალითად, ადგილობრივ საზოგადოებრივ ჯგუფებზე, საწარმოს საქმიანობა შეიძლება უფრო მკაცრ სახელმწიფო რეგულაციებს დაექვემდებაროს ან/და ამ ზემოქმედებამ შეიძლება საწარმოს რეპუტაციული ხასიათის ზიანი მიაყენოს. მან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს საწარმოს ბრენდზე და ახალი სამუშაო ძალის დაქირავების ხარჯების ზრდა გამოიწვიოს; და
- გ) როდესაც საწარმოს ბიზნეს-პარტნიორები მდგრადობასთან დაკავშირებული არსებითი რისკების წინაშე დგებიან, მათ მსგავსად, საწარმომაც შეიძლება შესაბამისი შედეგები განიცადოს.

გმ 14. **ფინანსური არსებობის** შეფასების საწყისი წერტილია ისეთი **რისკებისა** და **შესაძლებლობების** გამოვლენა, რომლებიც გავლენას ახდენენ ან გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ გავლენას მოახდენენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსური საქმიანობის შედეგებზე, ფულად ნაკადებზე, დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე ან კაპიტალის ღირებულებაზე მოკლე, საშუალო ან გრძელვადიან პერიოდში. ამ კონტექსტში, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს:

- ა) ბუნებრივ და სოციალურ რესურსებზე, როგორც **ფინანსური შედეგების** წყაროზე, **დამოკიდებულების** არსებობა (იხილეთ 50-ე პუნქტი);
- ბ) მათი კლასიფიცირება:
 - i. რისკების წყაროებად (რომელიც გარკვეულწილად იწვევს მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებაში უარყოფით გადახრას ან მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადინებაში გადახრის ზრდას ან/და კაპიტალში მოსალოდნელ ცვლილებაში უარყოფით გადახრას, რომელიც არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში); ან
 - ii. შესაძლებლობების წყაროებად (რომელიც გარკვეულწილად იწვევს მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებაში დადებით გადახრას ან მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადინებაში გადახრის შემცირებას ან/და კაპიტალში მოსალოდნელ ცვლილებაში დადებით გადახრას, რომელიც არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში).

გმ 15. მას შემდეგ, რაც საწარმო საკუთარ **რისკებსა** და **შესაძლებლობებს** გამოავლენს, მან უნდა განსაზღვროს, თუ რომელი მათგანია არსებითი ანგარიშგების მიზნებისთვის. ამ პროცესში მან უნდა გაითვალისწინოს ორივე - i) მისი მოხდენის ალბათობა და ii) **ფინანსური შედეგების** პოტენციური მნიშვნელოვნება/გავლენა, რომელიც შესაბამისი ზღვრების საფუძველზე უნდა განისაზღვროს. ამ ეტაპზე, მან უნდა გაითვალისწინოს ამ რისკებისა და შესაძლებლობების წვლილი ფინანსურ შედეგებთან მიმართებაში, მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, რომელიც ეფუძნება:

- ა) **სცენარებს/**მოკლევადიან პროგნოზებს, რომელიც, დიდი ალბათობით, მატერიალიზდება;
- ბ) მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებულ პოტენციურ ფინანსურ შედეგებს, რომლებიც მომდინარეობს ისეთი სიტუაციებიდან, რომელიც არის „უფრო სავარაუდოა, ვიდრე არა“ ზღვრის ქვემოთ, ან ისეთი აქტივებიდან/ვალდებულებებიდან, რომლებიც არ არის, ან ჯერ არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს მოიცავს:
 - i. პოტენციურ სიტუაციებს, რომლებსაც შეიძლება მომავალი მოვლენების მოხდენის შემდეგ გავლენა ჰქონდეს ფულადი სახსრების წარმოქმნის პოტენციალზე;
 - ii. კაპიტალს, რომელიც, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების პერსპექტივიდან, არ აღიარდება აქტივების სახით, მაგრამ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსური საქმიანობის შედეგებზე, როგორცაა, მაგალითად, ბუნებრივი, ინტელექტუალური (ორგანიზაციული), ადამიანური, სოციალური და ურთიერთობების კაპიტალი; და
 - iii. შესაძლო მომავალ მოვლენებს, რომლებსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეთ ასეთი კაპიტალის ევოლუციაზე.

არსებითობის შეფასებისას გასათვალისწინებელი მდგრადობის საკითხები

გმ 16. *არსებითობის* შეფასებისას საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ქვემოთ ჩამოთვლილი *მდგრადობის* ის *საკითხები*, რომლებიც თემატურ ESRS სტანდარტებშია განხილული. როდესაც საწარმო, არსებითობის შეფასების შედეგად (იხილეთ ESRS 2 IRO-1), წინამდებარე სიაში მოცემულ მდგრადობის რომელიმე საკითხს შეაფასებს, როგორც არსებითს, მან ეს საკითხი ანგარიშგებაში უნდა წარმოადგინოს შესაფერის თემატურ ESRS სტანდარტებში მოცემული შესაბამისი *გამჟღავნების მოთხოვნების* გათვალისწინებით. ამ სიის გამოყენება არ ანაცვლებს არსებითი საკითხების განსაზღვრის პროცესს. წინამდებარე სია არის მხოლოდ ინსტრუმენტი, რომელიც საწარმოს არსებითობის შეფასებისას დაეხმარება. საწარმოს მაინც დასჭირდება არსებითი საკითხების განსაზღვრისას საკუთარი სპეციფიკური გარემოებები გაითვალისწინოს. საწარმომ, საჭიროების შემთხვევაში, ასევე უნდა გაამჟღავნოს საწარმოსთვის სპეციფიკური ინფორმაცია იმ არსებითი *ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების* შესახებ, რომელიც არ არის ESRS სტანდარტებით დაფარული ისე, როგორც ეს აღწერილია წინამდებარე სტანდარტის მე-11 პუნქტში.

თემატური ESRS სტანდარტი	თემატურ ESRS სტანდარტებში მოცემული მდგრადობის საკითხები		
	თემა	ქვე-თემა	ქვე-ქვეთემა
ESRS E1	კლიმატის ცვლილება	<ul style="list-style-type: none"> • კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია • კლიმატის ცვლილების შერბილება • ენერჯია 	
ESRS E2	დაბინძურება	<ul style="list-style-type: none"> • ჰაერის დაბინძურება • წყლის დაბინძურება • ნიადაგის დაბინძურება • ცოცხალი ორგანიზმებისა და საკვები რესურსების მოწამვლა • სახიფათო ნივთიერებები • განსაკუთრებით სახიფათო ნივთიერებები • მიკროპლასტმასა 	
ESRS E3	წყალი და საზღვაო რესურსები	<ul style="list-style-type: none"> • წყალი • საზღვაო რესურსები 	<ul style="list-style-type: none"> • წყლის მოხმარება • წყალაღება • წყალჩაშვება • წყალჩაშვება ოკეანეებში • საზღვაო რესურსების მოპოვება და გამოყენება

თემატური ESRS სტანდარტი	თემატურ ESRS სტანდარტებში მოცემული მდგრადობის საკითხები		
	თემა	ქვე-თემა	ქვე-ქვეთემა
ESRS E4	ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები	<ul style="list-style-type: none"> • ბიომრავალფეროვნების კარგვაზე ზემოქმედების გამომწვევი პირდაპირი ფაქტორები 	<ul style="list-style-type: none"> • კლიმატის ცვლილება • მიწათსარგებლობის ცვლილება, მტკნარი წყლების გამოყენების ცვლილება და ზღვის გამოყენების ცვლილება • პირდაპირი ექსპლუატაცია • ინვაზიური უცხო სახეობები • დაბინძურება • სხვა
		<ul style="list-style-type: none"> • სახეობების მდგომარეობაზე ზემოქმედება 	<p>მაგალითები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სახეობების პოპულაციის ზომა • სახეობების გლობალური გადაშენების რისკი
		<ul style="list-style-type: none"> • ზემოქმედება ეკოსისტემების განფენილობასა და მდგომარეობაზე 	<p>მაგალითები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მიწის დეგრადირება • გაუდაბნობა • ნიადაგის ბლოკირება/დალუქვა
		<ul style="list-style-type: none"> • ზემოქმედება და დამოკიდებულება ეკოსისტემურ მომსახურებაზე 	
ESRS E5	ცირკულარული ეკონომიკა	<ul style="list-style-type: none"> • შემოდინებული რესურსები, მათ შორის რესურსების გამოყენება • გადინებული რესურსები, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციასა და მომსახურებასთან • ნარჩენები 	
ESRS S1	საკუთარი სამუშაო ძალა	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაო პირობები 	<ul style="list-style-type: none"> • გარანტირებული დასაქმება • სამუშაო დრო • ადეკვატური ხელფასები • სოციალური დიალოგი • გაერთიანების თავისუფლება, შრომის საბჭოების არსებობა და მომუშავეთა ინფორმირების, კონსულტაციისა და მონაწილეობის უფლებები • კოლექტიური შეთანხმება, მათ შორის კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომუშავეთა მაჩვენებელი • სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსი

თემატური ESRS სტანდარტი	თემატურ ESRS სტანდარტებში მოცემული მდგრადობის საკითხები		
	თემა	ქვე-თემა	ქვე-ქვეთემა
			<ul style="list-style-type: none"> • ჯანმრთელობა და შრომის უსაფრთხოება
		<ul style="list-style-type: none"> • თანასწორი მოპყრობა და შესაძლებლობები ყველასთვის 	<ul style="list-style-type: none"> • გენდერული თანასწორობა და იდენტური სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურება • ტრენინგი და უნარ-ჩვევების განვითარება • შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება და ჩართულობა • ზომები სამუშაო ადგილზე ძალადობისა და შევიწროების წინააღმდეგ • მრავალფეროვნება
		<ul style="list-style-type: none"> • შრომასთან დაკავშირებული სხვა უფლებები 	<ul style="list-style-type: none"> • ბავშვთა შრომა • იძულებითი შრომა • ადეკვატური საცხოვრებელი პირობები • პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა
ESRS S2	ღირებულებათა ან ჯაჭვის მომუშავეები	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაო პირობები 	<ul style="list-style-type: none"> • გარანტირებული დასაქმება • სამუშაო დრო • ადეკვატური ხელფასები • სოციალური დიალოგი • გაერთიანების თავისუფლება, მათ შორის შრომის საბჭოების არსებობა • კოლექტიური შეთანხმება • სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსი • ჯანმრთელობა და შრომის უსაფრთხოება
		<ul style="list-style-type: none"> • თანასწორი მოპყრობა და შესაძლებლობები ყველასთვის 	<ul style="list-style-type: none"> • გენდერული თანასწორობა და იდენტური სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურება • ტრენინგი და უნარ-ჩვევების განვითარება • შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

თემატური ESRS სტანდარტი	თემატურ ESRS სტანდარტებში მოცემული მდგრადობის საკითხები		
	თემა	ქვე-თემა	ქვე-ქვეთემა
			<p>პირთა დასაქმება და ჩართულობა</p> <ul style="list-style-type: none"> • ზომები სამუშაო ადგილზე ძალადობისა და შევიწროების წინააღმდეგ • მრავალფეროვნება
		<ul style="list-style-type: none"> • შრომასთან დაკავშირებული სხვა უფლებები 	<ul style="list-style-type: none"> • ბავშვთა შრომა • იძულებითი შრომა • ადეკვატური საცხოვრებელი პირობები • წყალი და სანიტარია • პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა
ESRS S3	ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები	<ul style="list-style-type: none"> • საზოგადოებრივი ჯგუფების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები 	<ul style="list-style-type: none"> • ადეკვატური საცხოვრებელი პირობები • ადეკვატური საკვები • წყალი და სანიტარია • მიწასთან დაკავშირებული ზემოქმედება • უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზემოქმედება
		<ul style="list-style-type: none"> • საზოგადოებრივი ჯგუფების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები 	<ul style="list-style-type: none"> • გამოხატვის თავისუფლება • შეკრების თავისუფლება • უფლებადამცველებზე ზემოქმედება
		<ul style="list-style-type: none"> • მკვიდრი მოსახლეობის უფლებები 	<ul style="list-style-type: none"> • ნებაყოფლობითი, ინფორმირებული და წინასწარი თანხმობა • თვითგამორკვევა • კულტურული უფლებები
ESRS S4	მომხმარებლები და საბოლოო მომხმარებლები	<ul style="list-style-type: none"> • ინფორმაციასთან დაკავშირებული ზემოქმედება მომხმარებლებზე ან/და საბოლოო მომხმარებლებზე 	<ul style="list-style-type: none"> • პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა • გამოხატვის თავისუფლება • (ხარისხიან) ინფორმაციაზე წვდომა
		<ul style="list-style-type: none"> • მომხმარებელთა ან/და საბოლოო მომხმარებელთა პირადი უსაფრთხოება 	<ul style="list-style-type: none"> • ჯანმრთელობა და შრომის უსაფრთხოება • თითოეული ადამიანის უსაფრთხოება • ბავშვების დაცვა

თემატური ESRS სტანდარტი	თემატურ ESRS სტანდარტებში მოცემული მდგრადობის საკითხები		
	თემა	ქვე-თემა	ქვე-ქვეთემა
		<ul style="list-style-type: none"> • მომხმარებელთა ან/და საბოლოო მომხმარებელთა სოციალური ჩართულობა 	<ul style="list-style-type: none"> • დისკრიმინაციის აკრძალვა • პროდუქციასა და მომსახურებაზე წვდომა • პასუხისმგებლობიანი მარკეტინგული პრაქტიკა
ESRS G1	საქმიანი ქცევა	<ul style="list-style-type: none"> • კორპორაციული კულტურა • მამხილებელი პირების დაცვა • ცხოველთა კეთილდღეობა • პოლიტიკური ჩართულობა და ლობისტური საქმიანობა • მომწოდებლებთან ურთიერთობის მართვა, გადახდის პრაქტიკის ჩათვლით 	
		<ul style="list-style-type: none"> • კორუფცია და მექრთამეობა 	<ul style="list-style-type: none"> • პრევენცია და გამოვლენა, მათ შორის ტრენინგი • ინციდენტები

შეფასება სექტორის საშუალო მაჩვენებლებისა და სხვა მსგავსი მონაცემების გამოყენებით

გმ 17. როდესაც საწარმოს, გონივრულობის ფარგლებში გაწეული ძალისხმევით შედეგად, არ შეუძლია მოაგროვოს 63-ე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მისი აღმავალი და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვის შესახებ, მან ანგარიშგებაში უნდა წარადგინოს საანგარიშგებო თარიღისთვის საწარმოსთვის, მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე, ხელმისაწვდომი ყველა გონივრული და დასაბუთებადი ინფორმაციის გამოყენების საფუძველზე შეფასებული ინფორმაცია. იგი მოიცავს (მაგრამ ამით არ შემოიფარგლება) შიდა და გარე ინფორმაციას, როგორცაა, მაგალითად, არაპირდაპირი წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია, სექტორის საშუალო მონაცემები, შერჩევითი ანალიზების შედეგად მიღებული ინფორმაცია, ბაზრის და თანასწორთა (მსგავსი მახასიათებლების მქონეთა) ჯგუფების მონაცემები, დანახარჯებზე დაფუძნებული ან სხვა ტიპის მონაცემები.

მდგრადობის ანგარიშგების შინაარსი და სტრუქტურა

გმ 18. წინამდებარე სტანდარტის 8.2 განყოფილების „მდგრადობის ანგარიშგების შინაარსი და სტრუქტურა“ 115-ე პუნქტის საილუსტრაციოდ, თუ საწარმოს ერთი და იგივე პოლიტიკა მოიცავს გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებს, საწარმოს შეუძლია ჯვარედინი მითითება გამოიყენოს. ეს ნიშნავს, რომ საწარმოს შეუძლია გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ განმარტებით შენიშვნებში წარმოადგინოს ინფორმაცია პოლიტიკის შესახებ და სოციალური საკითხების შესახებ განმარტებით შენიშვნებში მასზე ჯვარედინი მითითება გააკეთოს, ან პირიქით. ნებადართულია სხვადასხვა თემებთან დაკავშირებული პოლიტიკების კონსოლიდირებული სახით წარდგენა.

დანართი ბ: ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები

წინამდებარე დანართი ESRS 1-ის განუყოფელი ნაწილია და ისეთივე ძალა აქვს, რაც ამ სტანდარტის დანარჩენ ნაწილებს. ეს დანართი ადგენს იმ ხარისხობრივ მახასიათებლებს, რომელსაც ESRS სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ *მდგრადობის ანგარიშგებაში* წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა აკმაყოფილებდეს.

შესაბამისობა

- ხმ 1. მდგრადობის ინფორმაცია შესაბამისია, როდესაც მას შეუძლია გავლენა მოახდინოს მომხმარებლების გადაწყვეტილებებზე, *ორმაგი არსებობის* მიდგომის გათვალისწინებით (იხილეთ წინამდებარე სტანდარტის მე-3 თავი).
- ხმ 2. ინფორმაციას შეუძლია გავლენა მოახდინოს მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე, მაშინაც კი თუ მომხმარებელი გადაწყვეტს არ ისარგებლოს ამ ინფორმაციით ან მომხმარებელმა მის შესახებ უკვე იცის სხვა წყაროებიდან. მდგრადობის შესახებ ინფორმაციამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე, თუ ამ ინფორმაციას აქვს საპროგნოზო, ან დამადასტურებელი ღირებულება, ან ორივე ერთად. ინფორმაციას აქვს საპროგნოზო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს შეუძლია იგი გამოიყენოს პროცესის საწყის მონაცემად და მის საფუძველზე ამ პროცესის მომავალ შედეგებთან დაკავშირებით პროგნოზი გააკეთოს. იმისათვის, რომ მდგრადობის შესახებ ინფორმაციას საპროგნოზო ღირებულება ჰქონდეს, არ არის საჭირო იგი თავად წარმოადგენდეს პროგნოზს, არამედ, საკმარისია, მომხმარებლებს მისი გამოყენებით საკუთარი პროგნოზების გაკეთება შეეძლოთ.
- ხმ 3. ინფორმაციას აქვს დამადასტურებელი ღირებულება, თუ იგი წინა შეფასებებთან დაკავშირებით უკუკავშირს (ადასტურებს ან ცვლის) იძლევა.
- ხმ 4. არსებობა არის შესაბამისობის კრიტერიუმის საწარმოსთვის სპეციფიკური ასპექტი. იგი ეფუძნება იმ მუხლების ხასიათს ან მნიშვნელოვნებას, ან ორივეს ერთად, რომელსაც ინფორმაცია უკავშირდება, როგორც ეს შეფასებულია საწარმოს მდგრადობის ანგარიშგების კონტექსტში (იხილეთ წინამდებარე სტანდარტის მე-3 თავი).

ობიექტური წარდგენა

- ხმ 5. იმისათვის, რომ ინფორმაცია სასარგებლო იყოს, ის არა მარტო შესაბამისი მოვლენების შესახებ უნდა გვიქმნიდეს წარმოდგენას, არამედ ობიექტურად უნდა გვიჩვენებდეს იმ მოვლენების შინაარსსაც, რომლის ასახვისთვისაც არის გამიზნული. ობიექტური წარდგენის პრინციპი მოითხოვს, რომ ინფორმაცია იყოს (i) სრული (ii) ნეიტრალური და (iii) ზუსტი.
- ხმ 6. ზემოქმედების, რისკის ან შესაძლებლობის სრულად ასახვა გულისხმობს ყველა იმ არსებითი ინფორმაციის წარმოდგენას, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ მომხმარებელმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნას ამ ზემოქმედებაზე, რისკზე ან შესაძლებლობაზე. იგი გულისხმობს, თუ როგორ შეძლო საწარმომ საკუთარი სტრატეგიის, რისკის მართვისა და მმართველობის ადაპტირება ამ ზემოქმედებასთან, რისკთან ან შესაძლებლობასთან, ასევე *მდგრადობის მაჩვენებლებს*, რომელსაც იგი იყენებს *სამიზნე მაჩვენებლების* დაწესების და საქმიანობის შედეგების განსაზღვრის მიზნით.

ხმ 7. ნეიტრალური ასახვა გულისხმობს ინფორმაციის მიუკერძოებლად შერჩევას ან გამჟღავნებას. ნეიტრალური ასახვა არ გულისხმობს ტენდენციურობას, ორიენტირებული არ არის იმაზე, რომ მომხმარებლის ყურადღება მიმართოს რომელიმე მიმართულებით, წინასწარგამიზნულად რაიმეზე გაამახვილოს მათი ყურადღება ან პირიქით შეასუსტოს, ან რაიმე სხვა გზით მოახდინოს ზემოქმედება მომხმარებლის მოსაზრებებზე, რათა გაიზარდოს იმის ალბათობა, რომ ინფორმაციას მომხმარებლები მიიჩნევენ ხელსაყრელად ან არახელსაყრელად. იგი ისე უნდა იყოს დაბალანსებული, რომ მოიცვას როგორც ხელსაყრელი/დადებითი, ისე არახელსაყრელი/უარყოფითი ასპექტები. თანაბარი ყურადღება უნდა დაეთმოს როგორც დადებით, ისე უარყოფით არსებით ზემოქმედებას (**ზემოქმედების არსებითობის** თვალსაზრისით) და არსებით **რისკებსა** და **შესაძლებლობებს (ფინანსური არსებითობის** თვალსაზრისით). იმისათვის, რომ ნეიტრალურად იქნეს ასახული, მდგრადობასთან დაკავშირებული მიზნობრივი ინფორმაცია, მაგალითად, **სამიზნე მაჩვენებლები** ან გეგმები, უნდა მოიცავდეს როგორც მიზნებს, ისე იმ ფაქტორებს, რომელმაც, შეიძლება ხელი შეუშალოს საწარმოს ამ მიზნების მიღწევაში.

ხმ 8. ნეიტრალობას უზრუნველყოფს წინდახედულობა. წინდახედულობა ნიშნავს სიფრთხილის გამოჩენას განუსაზღვრელ გარემოებებში განსჯისა და გადაწყვეტილებების მიღებისას. ინფორმაციის ნეიტრალობის უზრუნველსაყოფად არ უნდა მოხდეს ამ ინფორმაციის ურთიერთჩათვლა ან გაწონასწორება. წინდახედულობა ნიშნავს იმას, რომ არ მოხდება **შესაძლებლობების** გადაჭარბებით, ხოლო **რისკების** ნაკლებად შეფასება. ანალოგიურად, წინდახედულობის პრინციპის გამოყენება არ გულისხმობს შესაძლებლობების ნაკლებად, ხოლო რისკების გადაჭარბებით შეფასებას. საწარმოს, მთლიან ღირებულებასთან ერთად, შეუძლია წარმოადგინოს ურთიერთჩათვლილი ინფორმაცია, თუ ასეთი წარდგენა ბუნდოვანს არ ხდის შესაბამის ინფორმაციას. ამ შემთხვევაში საწარმომ თან უნდა დაურთოს ამგვარი წარდგენის შედეგებისა და მიზეზების მკაფიო ახსნა-განმარტება.

ხმ 9. ინფორმაციის სიზუსტე არ გულისხმობს აბსოლუტურ სიზუსტეს ყველა ასპექტში. ზუსტი ინფორმაცია გულისხმობს, რომ საწარმომ, არსებითი შეცდომების და არსებითი უზუსტობების თავიდან აცილების მიზნით, ადეკვატური პროცესები და შიდა კონტროლები დანერგა. თავისთავად, შეფასებითი მნიშვნელობების წარდგენისას მკაფიო აქცენტი უნდა გაკეთდეს მისთვის დამახასიათებელ შესაძლო შეზღუდვებზე და დაკავშირებულ განუსაზღვრელობაზე (იხილეთ წინამდებარე სტანდარტის 7.2 განყოფილება). სიზუსტის დონე, რომელიც საჭირო და მიღწევადია, ასევე ის ფაქტორები, რომლებიც ინფორმაციას ზუსტს ხდის, დამოკიდებულია თავად ინფორმაციის ბუნებაზე და, ასევე, იმ საკითხების ბუნებაზე, რომელსაც იგი ეხება. მაგალითად, სიზუსტე მოითხოვს, რომ:

- ა) ფაქტობრივი ინფორმაცია არ შეიცავდეს არსებით შეცდომებს;
- ბ) აღწერილობა იყოს ზუსტი;
- გ) შეფასებითი მნიშვნელობები, მიახლოებითი გამოთვლები და პროგნოზები, როგორც ასეთი, მკაფიოდ იყოს იდენტიფიცირებული;
- დ) არსებითი შეცდომები არ იყოს დაშვებული შეფასებითი მნიშვნელობის, მიახლოებითი გამოთვლებისა და პროგნოზის დასადგენად სათანადო პროცესის შერჩევასა და გამოყენებაში და ამ პროცესის საწყისი მონაცემები იყოს გონივრული და დასაბუთებული;
- ე) მტკიცებები იყოს გონივრული და ეფუძნებოდეს საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის მქონე ინფორმაციას.

- ვ) ინფორმაცია მომავლის განსჯის შესახებ ობიექტურად ასახავდეს როგორც ამ განსჯასა და გადაწყვეტილებებს, ისე იმ ინფორმაციას, რომელსაც იგი ეფუძნება.

შესადარისობა

- ხმ 10. მდგრადობის შესახებ ინფორმაცია შესადარისია, თუ შესაძლებელია მისი შედარება იმავე საწარმოს სხვა პერიოდის ანალოგიურ ინფორმაციასთან, ან სხვა საწარმოთა ინფორმაციასთან, განსაკუთრებით იმ საწარმოთა ინფორმაციასთან, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ საქმიანობებს ან ფუნქციონირებენ იმავე სექტორში. შედარების საფუძველი შეიძლება იყოს სამიზნე მაჩვენებელი, საბაზისო მაჩვენებელი, დარგის საორიენტაციო მაჩვენებელი, შესადარისი ინფორმაცია, რომელიც დადგენილია სხვა საწარმოების ან საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაციების ან სხვათა მიერ.
- ხმ 11. თანმიმდევრულობა დაკავშირებულია შესადარისობასთან, მაგრამ ისინი სხვადასხვა ცნებებია. თანმიმდევრულობა გულისხმობს ერთი და იმავე მდგრადობის საკითხის მიმართ ერთი და იმავე მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებას, ან ერთი საწარმოს მიერ სხვადასხვა პერიოდში, ან სხვადასხვა საწარმოს მიერ ერთსა და იმავე პერიოდში. შესადარისობა მიზანია, თანმიმდევრულობა ხელს უწყობს ამ მიზნის მიღწევას.
- ხმ 12. შესადარისობა არ ნიშნავს ერთგვაროვნებას. იმისათვის, რომ ინფორმაცია შესადარისი იყოს, მსგავსი კომპონენტები ერთნაირად უნდა გამოიყურებოდეს, ხოლო განსხვავებული - განსხვავებულად. მდგრადობის ინფორმაციის შესადარისობა არ გაუმჯობესდება, თუ განსხვავებული საგნები წარმოდგენილი იქნება მსგავსად, ხოლო მსგავსი საგნები - როგორც განსხვავებული.

შემოწმებადობა

- ხმ 13. ინფორმაციის შემოწმების შესაძლებლობის თვისება (შემოწმებადობა) მომხმარებელს ეხმარება დარწმუნდეს იმაში, რომ ინფორმაცია არის სრული, ნეიტრალური და ზუსტი. მდგრადობის შესახებ ინფორმაცია შემოწმებადია, თუ შესაძლებელია თავად ამ ინფორმაციის ან მის მოსაპოვებლად გამოყენებული მონაცემების დადასტურება.
- ხმ 14. შემოწმებადობა იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ინფორმირებული და დამოუკიდებელი დამკვირვებელი შეძლებს ერთი და იმავე აზრის გამოტანას იმასთან დაკავშირებით, რომ გარკვეული მოვლენა ობიექტურად არის წარდგენილი, თუმცა აუცილებელი არ არის სრული თანხმობის მიღწევა. მდგრადობის შესახებ ინფორმაცია ისე უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ აუმჯობესდეს ინფორმაციის შემოწმებადობის ხარისხს, მაგალითად:
- ა) ისეთი ინფორმაციის ჩართვით, რომლის დადასტურებაც შესაძლებელია მისი შედარებით მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ სხვა ისეთ ინფორმაციასთან, როგორცაა საწარმოს ბიზნესი, სხვა ბიზნესები ან გარე გარემო;
 - ბ) შეფასებითი მნიშვნელობების ან მიახლოებითი მაჩვენებლების გამოყენების მიზნით გამოყენებული მონაცემების ან გამოთვლების მეთოდების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენით; და

გ) ისეთი ინფორმაციის წარმოდგენით, რომელიც გადახედილია ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხებველო ორგანოების ან მათი კომიტეტების მიერ და შეთანხმებულია მათთან.

ხმ 15. მდგრადობის შესახებ ზოგიერთი ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება ახსნა-განმარტების ან საპროგნოზო ინფორმაციის სახით. განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილი ეს ინფორმაცია შესაძლებელია დასაბუთებული იყოს, მაგალითად, საწარმოს სტრატეგიის, გეგმების და რისკების ანალიზის ობიექტური წარდგენით ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე. იმისათვის, რომ მომხმარებელს გაუადვილდეს გადაწყვეტილების მიღება, იმასთან დაკავშირებით, გამოიყენოს თუ არა ასეთი ინფორმაცია, საწარმომ უნდა აღწეროს ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ძირითადი დაშვებები და მეთოდები, ასევე სხვა ფაქტორები, რომლებიც ადასტურებენ, რომ იგი საწარმოს მიმდინარე გეგმებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს ასახავს.

აღქმადობა

ხმ 16. მდგრადობის შესახებ ინფორმაცია აღქმადია, როდესაც იგი ნათლად და ლაკონურად არის წარმოდგენილი. აღქმადი ინფორმაცია საშუალებას აძლევს ნებისმიერ საკმარისად მცოდნე მომხმარებელს ადვილად გაიგოს წარმოდგენილი ინფორმაცია.

ხმ 17. იმისათვის, რომ მდგრადობის შესახებ გამჟღავნებული ინფორმაცია იყოს ლაკონური, საწარმომ (ა) თავი უნდა აარიდოს ზოგად ინფორმაციას, რომელიც საწარმოს უშუალოდ არ ეხება და (ბ) თავი უნდა აარიდოს ინფორმაციის საჭიროების გარეშე დუბლირებას, მათ შორის იმ ინფორმაციისა, რომელიც უკვე წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში და (გ) უნდა გამოიყენოს მკაფიო და გასაგები ენა/გადმოცემის სტილი და კარგად სტრუქტურირებული წინადადებები და პუნქტები. განმარტებით შენიშვნებში ლაკონურად წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მხოლოდ არსებით ინფორმაციას. 113-ე პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია ისე უნდა იყოს მოწოდებული, რომ ბუნდოვანს არ ხდიდეს არსებით ინფორმაციას.

ხმ 18. სიცხადის ხარისხის გაუმჯობესება შეიძლება თუ საწარმო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განვითარებული მოვლენების შესახებ ინფორმაციას გამოყოფს „მუდმივი“ ინფორმაციისგან, რომელიც სხვადასხვა პერიოდების განმავლობაში შედარებით უცვლელი რჩება. ამის გაკეთება შესაძლებელია, მაგალითად, თუ საწარმო ერთმანეთისგან განცალკევებით აღწერს, ერთი მხრივ, მდგრადობასთან დაკავშირებულ მმართველობისა და რისკის მართვის ისეთ პროცესებს, რომელიც წინა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ შეიცვალა და მეორე მხრივ, იმ პროცესებს, რომელიც ამ პერიოდების მანძილზე უცვლელი დარჩა.

ხმ 19. მდგრადობის შესახებ გამჟღავნებული ინფორმაციის სისრულე, სიცხადე და შესადარისობა ეფუძნება ინფორმაციის, როგორც თანმიმდევრული მთლიანობის, წარმოდგენის პრინციპს. იმისათვის, რომ მდგრადობის შესახებ გამჟღავნებული ინფორმაცია თანმიმდევრული იყოს, იგი ისე უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ კონტექსტი და ურთიერთდაკავშირებულ ინფორმაციას შორის კავშირები გასაგები იყოს. თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, საწარმომ, ასევე, ინფორმაცია ისე უნდა წარმოადგინოს, რომ მომხმარებლებმა შეძლონ საწარმოს მდგრადობასთან დაკავშირებული **ზემოქმედების, რისკებისა** და

შესაძლებლობების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის მის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ ინფორმაციასთან დაკავშირება.

- ხმ 20. თუ ფინანსურ ანგარიშგებაში განხილული მდგრადობასთან დაკავშირებული *რისკები* და *შესაძლებლობები* გავლენას ახდენს მდგრადობის ანგარიშგებაზე, საწარმომ *მდგრადობის ანგარიშგებაში* უნდა წარმოადგინოს ის ინფორმაცია, რაც აუცილებელია მომხმარებლებისთვის ამ გავლენების შესაფასებლად და ფინანსურ ანგარიშგებასთან შესაბამისი კავშირების წარმოსადგენად (იხილეთ წინამდებარე სტანდარტის მე-9 თავი). ინფორმაციის დონე, დეტალურობა და ტექნიკურობა მომხმარებელთა საჭიროებებსა და მოლოდინებს უნდა შეესაბამებოდეს. საწარმომ თავი უნდა აარიდოს აბრევიატურების გამოყენებას. მან ასევე უნდა დაადგინოს და განმარტოს საზომი ერთეულები.

დანართი გ: გარდამავალი ფაზის გამჟღავნების მოთხოვნების სია

წინამდებარე დანართი ESRS 1-ის განუყოფელი ნაწილია და ისეთივე ძალა აქვს, რაც ამ სტანდარტის დანარჩენ ნაწილებს.

ESRS	გამჟღავნების მოთხოვნა	გამჟღავნების მოთხოვნის სრული სახელწოდება	გარდამავალი ფაზისა და ძალაში შესვლის თარიღი (პირველი წლის ჩათვლით)
ESRS 2	SBM-1	სტრატეგია, ბიზნესმოდელი და ღირებულებათა ჯაჭვი	საწარმომ ESRS 2 SBM-1-ის 40 (ბ) (მთლიანი ამონაგების ჩაშლა ESRS სტანდარტებით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი სექტორების მიხედვით) და 40 (გ) (ESRS სტანდარტებით გათვალისწინებული დამატებითი მნიშვნელოვანი სექტორების სია) პუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციის ანგარიშგებაში ასახვა უნდა დაიწყოს 2013/34/EU დირექტივის 29b(1) მუხლის მე-3 ქვეპუნქტის, (ii) პუნქტის შესაბამისად მიღებული კომისიის დელეგირებული აქტით განსაზღვრული გამოყენების თარიღიდან.
ESRS 2	SBM-3	არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება საწარმოს სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან	საწარმოს შეუძლია მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველ წელს გამოტოვოს ESRS 2 SBM-3-ის 48 (ე) პუნქტით (მოსალოდნელი ფინანსური შედეგები) გათვალისწინებული ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, თუ მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველი 3 წლის განმავლობაში არაპრაქტიკულია რაოდენობრივი ინფორმაციის გამჟღავნება, საწარმოს შეუძლია ESRS 2 SBM-3-ის 48(ე) პუნქტის მოთხოვნები მხოლოდ ხარისხობრივი ინფორმაციის გამჟღავნებით დააკმაყოფილოს.
ESRS E1	E1-6	მთლიანი 1-ელი, მე-2, მე-3 კატეგორიების გაფრქვევები და სათბურის აირების გაფრქვევები ჯამურად	საწარმომ ან ჯგუფებს, რომელთა მიერ ფინანსური წლის განმავლობაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა ბალანსის თარიღისთვის არ აღემატება 750-ს (კონსოლიდირებულ საფუძველზე, სადაც ეს რელევანტურია) შეუძლიათ მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველ წელს გამოტოვონ ქვეპუნქტები მე-3 კატეგორიის გაფრქვევებისა და ჯამური სათბურის აირების გაფრქვევების შესახებ.

ESRS	გამჟღავნების მოთხოვნა	გამჟღავნების მოთხოვნის სრული სახელწოდება	გარდამავალი ფაზისა და ძალაში შესვლის თარიღი (პირველი წლის ჩათვლით)
ESRS E1	E1-9	არსებითი ფიზიკური და გარდამავალი რისკების და კლიმატთან დაკავშირებული პოტენციური შესაძლებლობების მოსალოდნელი ფინანსური შედეგები	საწარმოს, მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველ წელს, შეუძლია გამოტოვოს ESRS E1-9-ით გათვალისწინებული ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, თუ მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველი 3 წლის განმავლობაში არაპრაქტიკულია რაოდენობრივი ინფორმაციის გამჟღავნება, საწარმოს შეუძლია ESRS E1-9-ის მოთხოვნები მხოლოდ ხარისხობრივი ინფორმაციის გამჟღავნებით დააკმაყოფილოს.
ESRS E2	E2-6	დაბინძურებასთან დაკავშირებული ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მოსალოდნელი ფინანსური შედეგები	საწარმოს, მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველ წელს, შეუძლია გამოტოვოს ESRS E2-6-ით გათვალისწინებული ინფორმაცია. მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველი 3 წლის განმავლობაში, საწარმოს შეუძლია დააკმაყოფილოს ESRS E2-6-ის მოთხოვნები მხოლოდ ხარისხობრივი ინფორმაციის გამჟღავნებით, გარდა 40 (ბ) პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამჟღავნებისას, რომელიც შეეხება ძირითად ინციდენტებთან და დანალექებთან დაკავშირებით საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაწეულ საოპერაციო და კაპიტალურ დანახარჯებს.
ESRS E3	E3-5	წყლის და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მოსალოდნელი ფინანსური შედეგები	საწარმოს, მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველ წელს, შეუძლია გამოტოვოს ESRS E3-5-ით გათვალისწინებული ინფორმაცია. მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველი 3 წლის განმავლობაში, საწარმოს შეუძლია დააკმაყოფილოს ESRS E3-5-ის მოთხოვნები მხოლოდ ხარისხობრივი ინფორმაციის გამჟღავნებით.
ESRS E4	გამჟღავნების ყველა მოთხოვნა	გამჟღავნების ყველა მოთხოვნა	საწარმოებს ან ჯგუფებს, რომელთა მიერ ფინანსური წლის განმავლობაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა ბალანსის თარიღისთვის არ აღემატება 750-ს (კონსოლიდირებულ საფუძველზე, სადაც ეს რელევანტურია) შეუძლიათ მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველი 2 წლის განმავლობაში გამოტოვონ ESRS E4-ის გამჟღავნების მოთხოვნებით გათვალისწინებული ინფორმაცია.

ESRS	გამყლავენების მოთხოვნა	გამყლავენების მოთხოვნის სრული სახელწოდება	გარდამავალი ფაზისა და ძალაში შესვლის თარიღი (პირველი წლის ჩათვლით)
ESRS E4	E4-6	ბიომრავალფეროვნება სა და ეკოსისტემასთან დაკავშირებული ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მოსალოდნელი ფინანსური შედეგები	საწარმოს, მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველ წელს, შეუძლია გამოტოვოს ESRS E4-6-ით გათვალისწინებული ინფორმაცია. მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველი 3 წლის განმავლობაში, საწარმოს შეუძლია დააკმაყოფილოს ESRS E4-6-ის მოთხოვნები მხოლოდ ხარისხობრივი ინფორმაციის გამყლავენებით.
ESRS E5	E5-6	რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მოსალოდნელი ფინანსური შედეგები	საწარმოს, მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველ წელს, შეუძლია გამოტოვოს ESRS E5-6-ით გათვალისწინებული ინფორმაცია. მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველი 3 წლის განმავლობაში, საწარმოს შეუძლია დააკმაყოფილოს ESRS E5-6-ის მოთხოვნები მხოლოდ ხარისხობრივი ინფორმაციის გამყლავენებით.
ESRS S1	გამყლავენების ყველა მოთხოვნა	გამყლავენების ყველა მოთხოვნა	საწარმომებს ან ჯგუფებს, რომელთა მიერ ფინანსური წლის განმავლობაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა ბალანსის თარიღისთვის არ აღემატება 750-ს (კონსოლიდირებულ საფუძველზე, სადაც ეს რელევანტურია) შეუძლიათ მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველ წელს გამოტოვონ ESRS S1-ის გამყლავენების მოთხოვნებით გათვალისწინებული ინფორმაცია.
ESRS S1	S1-7	საწარმოს საკუთარ სამუშაო ძალაში არადასაქმებული სტატუსის მქონე მომუშავეების მახასიათებლები	საწარმოს, მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველ წელს, შეუძლია გამოტოვოს ამ გამყლავენების მოთხოვნის ყველა ქვეპუნქტი.
ESRS S1	S1-8	კოლექტიური შეთანხმება და სოციალური დიალოგი	საწარმოს, მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველ წელს, შეუძლია გამოტოვოს ეს გამყლავენების მოთხოვნა ევროპის ეკონომიკური ზონის არაწევრ ქვეყნებში საკუთარ დასაქმებულებთან მიმართებაში.
ESRS S1	S1-11	სოციალური დაცვა	საწარმოს, მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველ წელს, შეუძლია გამოტოვოს ESRS S1-11-ით გათვალისწინებული ინფორმაცია.
ESRS S1	S1-12	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მქონე დასაქმებულთა წილი	საწარმოს, მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველ წელს, შეუძლია გამოტოვოს ESRS S1-12-ით გათვალისწინებული ინფორმაცია.

ESRS	გამჟღავნების მოთხოვნა	გამჟღავნების მოთხოვნის სრული სახელწოდება	გარდამავალი ფაზისა და ძალაში შესვლის თარიღი (პირველი წლის ჩათვლით)
ESRS S1	S1-13	ტრენინგი და უნარ-ჩვევების განვითარება	საწარმოს, მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველ წელს, შეუძლია გამოტოვოს ESRS S1-13-ით გათვალისწინებული ინფორმაცია.
ESRS S1	S1-14	ჯანმრთელობა და შრომის უსაფრთხოება	საწარმოს, მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველ წელს, შეუძლია გამოტოვოს ქვეპუნქტები, რომლებიც შეეხება სამუშაოთი გამოწვეულ გაუარესებული ჯანმრთელობის შემთხვევებს და ტრავმების, უბედური შემთხვევების, ფატალური შემთხვევების და სამუშაოთი გამოწვეული გაუარესებული ჯანმრთელობის გამო გაცდენილი სამუშაო დღეების რაოდენობას.
ESRS S1	S1-14	ჯანმრთელობა და შრომის უსაფრთხოება	საწარმოს, მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველ წელს შეუძლია ანგარიშგებაში არ წარმოადგინოს ინფორმაცია არადასაქმებული პირების შესახებ.
ESRS S1	S1-15	სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსი	საწარმოს, მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველ წელს, შეუძლია გამოტოვოს ESRS S1-15-ით გათვალისწინებული ინფორმაცია.
ESRS S2	გამჟღავნების ყველა მოთხოვნა	გამჟღავნების ყველა მოთხოვნა	საწარმოებს ან ჯგუფებს, რომელთა მიერ ფინანსური წლის განმავლობაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა ბალანსის თარიღისთვის არ აღემატება 750-ს (კონსოლიდირებულ საფუძველზე, სადაც ეს რელევანტურია) შეუძლიათ მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველი 2 წლის განმავლობაში გამოტოვონ ESRS S2-ის გამჟღავნების მოთხოვნებით გათვალისწინებული ინფორმაცია.
ESRS S3	გამჟღავნების ყველა მოთხოვნა	გამჟღავნების ყველა მოთხოვნა	საწარმოებს ან ჯგუფებს, რომელთა მიერ ფინანსური წლის განმავლობაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა ბალანსის თარიღისთვის არ აღემატება 750-ს (კონსოლიდირებულ საფუძველზე, სადაც ეს რელევანტურია) შეუძლიათ მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველი 2 წლის განმავლობაში გამოტოვონ ESRS S3-ის გამჟღავნების მოთხოვნებით გათვალისწინებული ინფორმაცია.
ESRS S4	გამჟღავნების ყველა მოთხოვნა	გამჟღავნების ყველა მოთხოვნა	საწარმოებს ან ჯგუფებს, რომელთა მიერ ფინანსური წლის განმავლობაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა ბალანსის თარიღისთვის არ აღემატება

ESRS	გამჟღავნების მოთხოვნა	გამჟღავნების მოთხოვნის სრული სახელწოდება	გარდამავალი ფაზისა და ძალაში შესვლის თარიღი (პირველი წლის ჩათვლით)
			750-ს (კონსოლიდირებულ საფუძველზე, სადაც ეს რელევანტურია) შეუძლიათ მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პირველი 2 წლის განმავლობაში გამოტოვონ ESRS S4-ის გამჟღავნების მოთხოვნებით გათვალისწინებული ინფორმაცია.


დანართი დ: ESRS სტანდარტების შესაბამისი მდგრადობის ანგარიშების სტრუქტურა

წინამდებარე დანართი ESRS 1-ის განუყოფელი ნაწილია და ისეთივე ძალა აქვს, რაც ამ სტანდარტის დანარჩენ ნაწილებს, რომელიც შეეხება, 115-ე პუნქტის შესაბამისად, ანგარიშებაში ინფორმაციის 4 ნაწილად წარმოდგენის პრინციპს.

მმართველობის ანგარიშების ნაწილი	კოდიფიკაცია ESRS სტანდარტებში	სახელწოდება
1. ზოგადი ინფორმაცია	ESRS 2	ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები, მათ შორის ESRS 2-ის „გ“ დანართში მოცემული თემატური ESRS სტანდარტების გამოყენების მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ინფორმაცია.
2. გარემოსდაცვითი ინფორმაცია	არ არის რელევანტური	განმარტებითი შენიშვნები (EU) 2020/852 რეგულაციის (ტაქსონომიის რეგულაცია) შესაბამისად
	ESRS E1	კლიმატის ცვლილება
	ESRS E2	დაბინძურება
	ESRS E3	წყალი და საზღვაო რესურსები
	ESRS E4	ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები
	ESRS E5	რესურსების გამოყენება და ცირკულარული ეკონომიკა
3. სოციალური ინფორმაცია	ESRS S1	საკუთარი სამუშაო ძალა
	ESRS S2	ღირებულებათა ჯაჭვის მომუშავეები
	ESRS S3	ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები
	ESRS S4	მომხმარებლები და საბოლოო მომხმარებლები
4. მმართველობის ინფორმაცია	ESRS G1	საქმიანი ქცევა


დანართი ე: გასამჟღავნებელი ინფორმაციის დასადგენი დიაგრამა

არსებითობის შეფასება ESRS სტანდარტების შესაბამისად მდგრადობის ანგარიშების მომზადების პროცესში ამოსავალი წერტილია. წინამდებარე დანართში წარმოდგენილია ზემოქმედებისა და ფინანსური არსებითობის შეფასების საილუსტრაციო მაგალითი, რომლის გამოყენებას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. ESRS 2-ის 4.1 განყოფილებაში IRO-1 ნაწილი მოიცავს საწარმოს მიერ საკუთარი ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების გამოვლენისა და მათი არსებითობის შეფასების პროცესის შესახებ ინფორმაციის *გამჟღავნების* საერთო მოთხოვნებს. ESRS 2-ის SBM-3 ნაწილში კი წარმოდგენილია ინფორმაციის *გამჟღავნების* საერთო მოთხოვნები საწარმოს მიერ არსებითობის შეფასების შედეგად გამოვლენილი არსებითი ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო დაადგენს, რომ რომელიმე კონკრეტული თემა არ არის არსებითი, მას შეუძლია გამოტოვოს თემატურ სტანდარტში მოცემული გამჟღავნების ყველა მოთხოვნა. ასეთ შემთხვევაში, საწარმოს შეუძლია გაამჟღავნოს ამ თემასთან დაკავშირებით არსებითობის შეფასების დასკვნების შესახებ მოკლე ახსნა-განმარტება, მაგრამ მან უნდა გაამჟღავნოს დეტალური ახსნა-განმარტება, თუ იგი ეხება ESRS E1-ის მოთხოვნებით გათვალისწინებულ თემას კლიმატის ცვლილებაზე (ESRS 2-ის IRO-2 ნაწილი). ESRS სტანდარტები ადგენს არა ქცევის, არამედ ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს. **სამოქმედო გეგმებთან, სამიზნე მაჩვენებლებთან, პოლიტიკებთან, სცენარის ანალიზთან და გარდამავალ გეგმებთან** დაკავშირებული გამჟღავნების მოთხოვნები პროპორციულია, ვინაიდან მათი არსებობა დამოკიდებულია საწარმოს მიერ მათი შემუშავების პრინციპზე, რომელიც თავის მხრივ შეიძლება დამოკიდებული იყოს საწარმოს ზომაზე, შესაძლებლობებზე, რესურსებზე და უნარებზე. შენიშვნა: ქვემოთ მოცემული დიაგრამა არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საწარმო მდგრადობის საკითხს შეაფასებს, როგორც არსებითს, მაგრამ არცერთი თემატური სტანდარტი ამ საკითხს არ ფარავს. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ დამატებითი, საწარმოსთვის სპეციფიკური ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს (ESRS 1 30(ბ)).



დანართი ვ: ESRS სტანდარტების შესაბამისად მომზადებული მდგრადობის ანგარიშგების სტრუქტურის მაგალითი

წინამდებარე დანართი ავსებს ESRS 1-ს. მასში წარმოდგენილია წინამდებარე სტანდარტის 8.2 განყოფილებაში აღწერილი მდგრადობის ანგარიშგების სტრუქტურის საილუსტრაციო მაგალითი, რომლის გამოყენებას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. წინამდებარე ილუსტრაციაში წარმოდგენილია შემთხვევა, როდესაც საწარმომ დაასკვნა, რომ ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები, დაბინძურება და ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები არ წარმოადგენენ არსებით საკითხებს.



დანართი ზ: ინფორმაციის ჩართვა სხვა დოკუმენტებზე მითითებით - საილუსტრაციო მაგალითი

წინამდებარე დანართი ავსებს ESRS 1-ს. მასში წარმოდგენილია *მდგრადობის ანგარიშგებაში* ინფორმაციის ისეთი სახით ჩართვის საილუსტრაციო მაგალითი, როდესაც მმართველობის ანგარიშგების სხვა ნაწილზე ხდება მითითება (ეს საკითხი აღწერილია წინამდებარე სტანდარტის 9.1 განყოფილებაში). მოცემული საილუსტრაციო მაგალითის გამოყენება მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა.

